

ანრი დანონი

პიკნიკი ქალაქქვეშ

ფრანგულიდან თარგმნა ირინა ღოღობერიძემ

ყველა უფლება დაცულია

© Henri Danon 1992

© გამომცემლობა საარი 2005

© ირინა ღოღობერიძე. თარგმანი 2005

*ქოზეფისგან
ანრი დანონის შემწეობით*

ძვირფასო ირინა,

აგლაემ დამცინა, როცა თითქმის დამთავრებული თარგმანის, სავარაუდო გამოცემისა და... ვინ იცის, იქნებ დადგმის შესახებაც ველაპარაკე. მან ნაცნობი ფრაზით კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენეჯერ, შემომიტია: « შენ ბოდავ, ქოზეფ, როგორც ყოველთვის. ნეტავ თუ გესმის, რა არის თბილისი? საქართველო?. გააცნობიერე, ქოზეფ, კოლხეთი, ლეგენდა და ერთ-ერთი ულამაზესი ქვეყანა ». ეშმაკობა უხმარია ჩემს აგლაეს, უნივერსალური ენციკლოპედია წაუკითხავს და წაკითხულს თავისად ასაღებდა.

ვერც მე, ვერც ის ვერასდროს გავბედავდიოთ საკუთარი თავისა თუ ახალგაზრდული ვნებების საძიებლად გადარჩენილი ოცნებანი იმ სახელებისთვის დაგვეწია, რომლებსაც ესოდენ კარგად იცნობთ იქ, საქართველოში. უჩვეულო რეალობამ უფლება მოგვცა მივმართოთ თეატრს და ჩემი ენისადმი თქვენს ღრმა სიახლოვეს, რათა მოწიწებით მივდიო თქვენს მიერ უკვე ნათარგმნ ფედოსა და ჟიროდუს.

მე და აგლაე, ეტყობა, იმთავითვე დაპროგრამებულნი ვიყავით თქვენი ცნობიერების სივრცეში. ბედნიერები ვართ, რადგან თქვენი ენის გავლით ოქროს საწმისს შევხვდებით მოკრძალებულად.

მოხუცი, რომელიც აშკარად ჩემსა და აგლაეს მაგიერად ლაპარაკობს ხოლმე, სიხარულს ვერ იოკებს. სწორედ ის მოხოვს მადლობასთან ერთად მეგობრობაც შემოვთავაზოთ.

მალე შეხვედრის იმედით,

თქვენი ერთგული ქოზეფი.

პიკნიკი ქალაქქვეშ

პერსონაჟები: ჟოზეფი, აგლაე

სცენის სიღრმეში, კუთხეში, აუდიომოწეობილობა და იაპონური შტორების ტიპის მოძრავი ვერტიკალური თასმები დაკიდებული. მათი სიმაღლე ადამიანისას უახლოვდება. თასმები პერსონაჟებივითაა გამოჭრილი და მოხატული. თამაში გარკვეულ “ფიგურებს – სცენებს” გულისხმობს: ერთი პერსონაჟი მეორეს “უკან” მდგარი ლაპარაკობს, ან მოშორებით დგას. პერსონაჟები გამუდმებით თამაშში არიან. ზოგიერთ სცენაში ეს უძრავი პერსონაჟი-თასმები ერთიმეორესთან ისეთ მიმართებაში იმყოფებიან, როგორც ამას ჯიაკომეტის “ფიგურებში” ვხედავთ (ციურიხის მუზეუმი): ისინი თითქოს ახლობლები და მაინც უცნობები არიან, თითქოს საკუთარი ტრეპტორიით მოძრაობენ სცენაზე, მაგრამ მაინც ერთად არიან.

და ბოლოს, მოქმედ პირთა ასაკს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და მაინც...
ოცდასამ წელზე ახალგაზრდები არ უნდა იყვნენ...

ნაწილი პირველი

ჟოზეფი ვარჯიშობს, ადგილზე ხტის, დარბის და სხვა.

აგლაე - რას აკეთებ, ჟოზეფ?

ჟოზეფი - ვვარჯიშობ, აგლაე.

აგლაე - რატომ?

ჟოზეფი - რომ წავიდე.

აგლაე - წახვიდე?

ჟოზეფი - წავიდე, გავემგზავრო, თავს ვუშველო, გავექრე.

აგლაე - მტოვებ.

ჟოზეფი - (წამით ჩერდება) რა მოგდის? მივდივართ ერთად, შენ და მე.

აგლაე - სად მივდივართ?

ჟოზეფი - (ვარჯიშს განაგრძობს) ამაზონიაში.

აგლაე - ჩვენი მოგზაურობა ცოტა ეგზოტიკური ხომ არ იქნება?

- ქოზეფი - *(ვარჯიშობს)* არა.
- აგლაე - ჰო-ო?! *(ხმაურის ფონს ჩართავს, სკამზე მოკლათდება)* საბოლოო ჯამში ისინი დასაწოლად ზემოთ ავიდნენ.
- ქოზეფი - *(ვარჯიშობს)* გადავკვეთავთ ტიბეტს.
- აგლაე - ნახარში მოგართვა, ძვირფასო?
- ქოზეფი - *(ვარჯიშობს)* შემდეგ ბერინგის ყურე, ან სანდვიჩის კუნძულები ან პატაგონია.
- აგლაე - ჩამოჯექი, აქ კარგია *(ქოზეფი ვარჯიშობს)* როდის მივდივართ?
- ქოზეფი - *(ვარჯიშობს)* ხვალ.
- აგლაე - დაბრუნება?
- ქოზეფი - უკან სავალი გზა მოჭრილია. მხოლოდ წინსვლა და არავითარი სინანული.
- აგლაე - აღარ დავბრუნდებით?
- ქოზეფი - *(ვარჯიშობს)* არა.
- აგლაე - არასდროს?
- ქოზეფი - *(ჩერდება)* ჩემთვის არა - არაა. არასდროს, არასდროს.
- აგლაე - რატომ, ძვირფასო? აქაურობა არ მოგწონს ? *(გვერდით დასაჯდომად მოიპატიუებს)* დაჯექი.
- ქოზეფი - შენ, რა თქმა უნდა, მომწონხარ *(მიემართება დეკორაციისკენ. ფონი, ხმაური ტექსტს შეეფერება)* ეს შეუდარებელი ატმოსფერო, ჩაფიქრებისათვის ხელსაყრელი... სიტკბოება, სიამოვნება!
- აგლაე - აღარ გიყვარვარ...
- ქოზეფი - არა, სულელო. უბრალოდ, მომბეზრდა. ყელში ამომვიდა, ყურებიდან გადმომდის ეს სატვირთო მანქანები, პრემიერ მინისტრები, გაუთავებლად, რარაცეები, ვილაცეები აქ შენთან.
- აგლაე - აღარ გინდივარ *(მიუახლოვდება რადიოს, ჩართავს, სასიყვარულო სიმღერა).*

- ჟოზეფი - *(გამორთავს)* კიდევ ერთხელ გიმეორებ, აგლაე, შენი კუნტრუშა თეძოები არა მაქვს მხედველობაში. პრობლემა - ხმაურია. ხალხი. დილიდან საღამომდე. დამეც კი. როცა ოცნება გინდა, ხალხი მაღულად მითველთვალებს, შექუჩულ ხროვადქცეული უკან მოგროვდება... საძინებელში, თავში, ხეებში, ტუალეტებში... ღრუბელიც კი არ დაცურავს საკუთარი სუპერბგერის გარეშე. სიჩუმის პაწაწუნა კუთხესაც კი საკუთარი აუდიოვიზუალური შხეფები გააჩნია.
- აგლაე - ნეტავ, ახლა რაღა დავაშავე?
- ჟოზეფი - შენ რა შუაში ხარ? ეს მეტრო, საბურღი მანქანები...
- აგლაე - ხმაურგაუტარი რომ იყოს აქაურობა, უკეთ იგრძნობდი თავს?
- ჟოზეფი - *(ვითომ ტელეფონით ლაპარაკობს)* ალო?! ვინ? ჟოზეფი? ესაუბროთ? სასწრაფოა? არა, ბატონო! ჯანდაბას! *(აგლაეს მოუბრუნდება. პაუზა)* და... მეზობლები!
- აგლაე - *(ჟოზეფის უკან)* მეზობლების გარეშე როგორ წავიდეთ, ჩვენი მშვენიერი მეზობლების გარეშე *(ჟოზეფს წინ მოუვლის)*. რომელი მეზობლები?
- ჟოზეფი - *(დეკორაციას უახლოვდება)* ის ბატონები და ქალბატონები, ვერ შეამჩნიე? *(რადიოში ჩურჩულის, საუბრის, ტელევიზორის და სხვ. ხმაური ისმის)*.
- აგლაე - *(დეკორაციას მიაშურებს, ზურგით დადგება)* არა. ვერაფერს ვხედავ.
- ჟოზეფი - *(მანეკენებისგან მოშორებით დგას, სიცარიელისკენ გაიწვლის ხელს)* აი, იქ, ცხვირწინ!
- აგლაე - ასეთი განსაკუთრებული რა აქვთ?
- ჟოზეფი - არარსებობა, არარაობა სახიფათოა და გადამდები.
- აგლაე - ოო, ჩემთვის, ხომ იცი, მთავარია ერთად ვიყოთ.
- ჟოზეფი - ყველანი ერთად. არავინ დაგვავიწყდეს, არავითარი ცრურწმენა. მობრძანდით, შევმჭიდროვდეთ, დავიპრესოთ, მივაწვეთ, ერთი პატარა ძაღლისხმევა. ერთი ადგილიდა დაგვრჩა, ცალი მხარი ჩაეტევა, ერთი ფეხიც. მსურველები აღარ არიან?
- აგლაე - ფანჯარა მოხურე.

- ქოზეფი - გარეთ? სიცარიელე? სინჟმე? ფეხის წვერებზე? კედლის მიღმა? ჭერამდე? ქუჩაში? აღარ გათავდა ეს ყველაფერი *(მანქანის ხმაური)*.
- აგლაე - მარტონი ვართ.
- ქოზეფი - მომბეზრდა.
- აგლაე - დამშვიდდი.
- ქოზეფი - თავი დამანებონ, შემეშვან *(პაუზა)*. შენ, შენ კმაყოფილი ხარ?
- აგლაე - რას ამბობ?
- ქოზეფი - მიდი, ნუ გრცხვენია.
- აგლაე - არაფრისაც არ მრცხვენია.
- ქოზეფი - კეთილი და პატიოსანი *(ხელს მოკიდებს და გაასკირნ-გამოასკირნებს)*. ბრბო და სხვები? აგლაე? არ მინდა. ვიხრჩობი, როგორც თევზი უწყლოდ.
- აგლაე - გაჩერდი.
- ქოზეფი - ყელში ამომივიდა. ჩავძაღღდე.
- აგლაე - ნუ აჭარბებ. ბოლოს და ბოლოს, მართლა დაიჯერებ ყველაფერს *(პაუზა)*. გროგი ხომ არ გინდა?
- ქოზეფი - ჩემნაირებს გაუმარჯოს! მილიონობით ძმაკაცის სადღეგრძელო იყოს! განრიგის ჭანჭიკით ვარ დაბმული.
- აგლაე - ცხელი გროგი!
- ქოზეფი - ყველგან მეღვრება! შიგნით, გარეთ! კარის გაღება არაა საჭირო, არც ჭუჭრუტანა გჭირდება. გათელილი,, შთანთქმული, დამხრჩვალი. ვკვდები.
- აგლაე - კიდევ.
- ქოზეფი - გავცამტვერდი *(ხელებს ჯერ თვითონ ჩამოისვამს სახეზე, მერე აგლაეს ჩამოუსვამს)*. წავშალოთ! ყურედლებით, აგლაე *(დეკორაციისკენ მიემართება)*. მომიტვევო, მეგობრებო, აგლაე ხომ არ გინახავთ?
- აგლაე - *(ქოზეფის უკან)* გათქვეფილი. დიდ სივრცეში. წაშლილი, ჩამორეცხილი, ხსნარად ქცეული *(ქოზეფის პირისპირ)*.

არა და ყველგან ჟოზეფს ვხედავდი, ყოველ დღით მხოლოდ მას ვამჩნევდი.

ჟოზეფი - ერთმანეთს ვკოცნიდით *(კოცნიან ერთმანეთს)...*
გაუცნობიერებლად.

აგლაე - დილიდან საღამომდე.

ჟოზეფი - დღე მშვიდობისა! *(ზურგს შეაქცევს, რამდენიმე ნაბიჯს გადადგავს).*

აგლაე - ჟოზეფ? ჟოზეფ! *(უკან მისდევს).*

ჟოზეფი - *(თავს მოაბრუნებს)* უკაცრავად?

აგლაე - ჟოზეფ, ძვირფასო.

ჟოზეფი - რომელ ნომერს ინებებთ *(გაშორდება, დეკორაციაში მიიმალება).*

აგლაე - ვიცოდი, დარწმუნებული ვიყავი! ამ ბოლო დროს...

ჟოზეფი - *(ვარჯიშობს)* შევიცვალე *(კუნთებს ძაბავს).* აი, ნახე!

აგლაე - შენ ნაჭუჭში იმალეები, მარტოვდები.

ჟოზეფი - როგორ! ჟოზეფი და განმარტოება *(ისევ რთავს რადიოს, ყურს მიუგდებს, ისმის საუბრები).* ასეთ განმარტოებაზე ვილაპარაკოთ? *(გადართავს, ისმის მუსიკა)* თუ ასეთზე? *(გადართავს, ისმის მოძრაობის ხმაური)* არა? ასეთზე რაღას იტყვი? *(გამორთავს, ისმის მანქანების, ბურღის ხმა)* ნუ წუხდები, ძვირფასო, რაც შეეხება სიმარტოვეს, ფერთა წლიური გამა მზადაა... მთელი ცხოვრების მარაგი მაქვს, ბლოკებადაა დალაგებული. სამარესავიდ შავ-უშუქო ბლოკებად, არც წინაა არაფერი, არც უკან... დრამა და ჯოჯოხეთი. მაგალითად, ცოტა მოშორებით უდიდამო ნოსტალგია მაქვს გადამალული, წვიმიანი დღისთვის - სილატაკე და მიმქრალი უიმედობა. უფრო შორს თუ წახვალ, მეტაფიზიკურ და ამაღლებულ სტილს წააწყდები, მონოლოგით შენს არჩევანს შეახშიანებ, ამით კი უსასრულო სიცარიელეს და მარადისობას გააცოცხლებ. ეს სერია წმინდა კლასიკურ მოდელზე გადასვლას გვიმზადებს - შაქარი და ვანილი, ვანილი და შაქარი.

აგლაე - *(ჟოზეფის უკან დგება)* ჩემი საყვარელი მოდელია.

ჟოზეფი - *(მსუბუქად შემოტრიალდება და გაშეშდება)* ჩემიც.

- აგლაე - *(ისევ ჟოზეფის უკან დგას)* შადრევნების ჩაციებული თრთოლვა, ჩრდილთა შემპარავი სურნელი, სიჩუმის ბრმა თითები ღამის ბაგეზე *(პაუზა)*.
- ჟოზეფი - *(რადიოსთან მიირბენს. კრიამულის მოულოდნელი ტაღლა « იქ დადევნი ჩემი მანძილსაზომი. ბოდიში, აქ მობრძანდით » და ა.შ. ერთდროულად ყველა ენაზე: ფრანგულად, ინგლისურად, იტალიურად, ესპანურად, იაპონურად და ა.შ. ტექსტი, რომელსაც ჟოზეფი იტყვის, განმეორდება ყველა ენაზე ისე, რომ მისი ხმა არ დაიფარება.)* ჩვენ ვიმყოფებით ალამბრას შუაგულში, სახელგანთქმულ ლოთა ეზოში. შეხედეთ და შეაფასეთ წყლის ჩანადენის და კანალიზაციის სისტემის სრულქმნილება. სისტემისა, რომელიც აღმორავიდებმა... ექვსას ოცდა ხუთმა, არა! ათას ოთხას ოთხმოცდათორმეტმა აღმორავიდმა - სიცოცხლის, ხელოვნების უზადო შემქნელებმა, გადმოგვცეს. დღესაც, ამ წუთსაც ამ სისტემით ვსარგებლობთ. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი შვილთაშვილებიც ისარგებლებენ. მომყევით, თუ შეიძლება! აქეთ, ფრანგების ჯგუფი, აქეთ! ვიჩქაროთ! თუ შეიძლება, ვიჩქაროთ *(პაუზა, აგლაე ვარჯიშობს)*. აგლაე!
- აგლაე - ბატონო?
- ჟოზეფი - მისმენ?
- აგლაე - როგორც ხედავ, გისმენ.
- ჟოზეფი - მაშ, რას აკეთებ?
- აგლაე - ევარჯიშობ *(ჩერდება)*.
- ჟოზეფი - დაიდალე?
- აგლაე - საკმაოდ. დასაწყისში. ზურგს ხომ არ დამიხეღ?
- ჟოზეფი - გამგზავრება...
- აგლაე - ცოტა დაბლა.
- ჟოზეფი - განთავისუფლება...
- აგლაე - ეხლა მარჯვნივ.
- ჟოზეფი - დღის ბოლოს კი... სიჩუმე.
- აგლაე - კეფისკენ, გეთაყვა, აი, აქ.
- ჟოზეფი - ჩვენს თავს უკვე იქ ვხედავ.

- აგლაე - ცოტა ფრთხილად, კანი ნუ დამაგლიჯე.
- ჟოზეფი - ზუსტი არჩევანი... კარგად შესწავლილი. კარგია?
- აგლაე - მშვენიერი. მადლობთ, ჩემო საყვარელო (*პაუზა*).
- ჟოზეფი - ნუ გეშინია, აგლაე (*ორივე საკმაოდ დიდ წრეს შემოუვლის სცენას*).
- აგლაე - დავიკარგებით.
- ჟოზეფი - სასაცილო ხარ.
- აგლაე - დედამიწა ცარიელია, ჟოზეფ. გამოფიტული, მკვდარი.
- ჟოზეფი - იქით გაიხედე.
- აგლაე - აღარავინ არის.
- ჟოზეფი - გაუმარჯოს თავისუფლებას!
- აგლაე - სიჩუმე (*ჩართავს რადიოს. ისმის ცარიელი ფონის ხმა. მობრუნდება, ქვითინებს*). როგორც ყოველთვის, სამსახურიდან გამოვდიოდი (*გარბის*). უკაცრავად, მაპატიე (*ჟოზეფის პირისპირ ჩერდება*).
- ჟოზეფი - ცოტა ფრთხილად, თუ შეიძლება.
- აგლაე - (*ვიღაცას, ვინც თითქოს მის უკან დგას*) გაიწიეთ, გეთაყვა, გამსრისეთ და ეგ არის.
- ჟოზეფი - (*სიარულს იწყებს, თითქოს ძალიან ეჩქარება*) ნუთუ ვერ ხედავთ, რომ გავლას მიშლით (*თამაში აქ მრავალგვარი შეიძლება იყოს: მოძრავი, უძრავი, მსახიობები ხან ერთად არია, ხან დაკორაციაში დგანან და სხვ.*).
- აგლაე - მარტო ხომ არ გგონიათ თქვენი თავი? მეც მეჩქარება.
- ჟოზეფი - მაპატიეთ, წასვლა მინდოდა.
- აგლაე - მე კი, ასვლა.
- ჟოზეფი - მაშ მე ჩავდივარ.
- აგლაე - მე ავდივარ.
- ჟოზეფი - გაიწიეთ.

- აგლაე - ნუ მაწვებით.
- ჟოზეფი - მასრჩობ, ყვეეჩო.
- აგლაე - გამსრისე, ბრიყვო.
- ჟოზეფი - არ გეყო ჭიდაობა?
- აგლაე - ჩამომავდებს ეს სულელი *(ტრიალ-ტრიალით მარჯვენა კუთხეში აღმოჩნდება, ჟოზეფი საპირისპირო მიმართულებით მიექანება)*.
- ჟოზეფი - ხელის კერას არ გაპატიებ. აბა, გასრიალდი აქედან.
- აგლაე - უნდა ჩავეჭიდო! თმა, სათვალე, ყველაფერი დაგკარგე.
- ჟოზეფი - ვერა ხედავთ, წინ რომ ვეღარ მივიწვი?
- აგლაე - არ გაბედოთ ხელის ფათური. ასეთი სიფათით... სახარბიელო არაფერია.
- ჟოზეფი - რას მკვრავ მუჯღუგუნს?
- აგლაე - ვაი!
- ჟოზეფი - დავიხრჩვით.
- აგლაე - ყარს აქაურობა.
- ჟოზეფი - რა ხდება!
- აგლაე - გავჩერდით.
- ჟოზეფი - მძლოლი გაქრა?
- აგლაე - შუქნიშანია!
- ჟოზეფი - სული მეხუთება.
- აგლაე - *(ზურგზე მოაჯდება ჟოზეფს)* გასასვლელი, გეთაყვა!
- ჟოზეფი - დაკეტილია.
- აგლაე *ხელით თვალებს მოიხრდილავს.*
- ჟოზეფი - აქედან წასვლა ჯობს *(ადგილზე ტრიალდება, ჩერდება)* ახალი ჰიბრიდების კუნძულებზე, ლაბრადორზე *(საწყის პოზიციას უბრუნდება)*.

- აგლაე - მეც, მეც!
- ქოზეფი - გასასვლელი? ზურგი შემაქციეთ? *(აგლაე ქოზეფის ზურგიდან ჩამოდის, მის უკან დგება).*
- აგლაე - საბოლოოდ *(ისევ ზურგზე მოაჯდება ქოზეფს).*
- ქოზეფი - არა, აქ არ შეიძლება, აქედან არა.
- აგლაე - რადგან გვითხრეს, ჩემო ბატონო, ნუ გაუჯიუტდებით. არა, ბატონო, ეს სარკმელი დაკეტილია.
- ქოზეფი - მაშ, აქედან მოვჭრათ.
- აგლაე - ეს მიმართულებაც აკრძალულია.
- ქოზეფი - აკრძალულია, და ჩამობრძანდით.
- აგლაე - კითხვა აღარ იცით? იქ, ცხვირწინ.
- ქოზეფი - გამატარეთ.
- აგლაე - მიშველეთ.
- ქოზეფი - სასიკვდილოა.
- აგლაე - ტა-ტა-ტა...
- ქოზეფი - დამეხსენ თავიდან, ჯანდაბა, მეც კი გადავიხადე ამ ადგილის საფასური.
- აგლაე - ჩვენი ბილეთები ხელში მეჭირა.
- ქოზეფი - ბრძების ხროვა.
- აგლაე - მოაჯირი, პოლიცია, კონტროლიორები *(ქვსტი).*
- ქოზეფი - ... *(პაუზა).*
- აგლაე - აღარაფერი ისმის *(პაუზა).* როგორ არა, უკანასკნელი ამოხვრის მაგვარი რამ ისმის *(ჩამოდის ქოზეფის ზურგიდან. წინ ჩაუვლის).* საბედნიეროდ მომავალ ზაფხულს...
- ქოზეფი - ყვითლითა და ბაცი მწვანით გაჯერებულ შუქთან ერთად, რომელშიც ამ შუქისსავე ნამსხვრევები შთაინთქმებოდა... ბედნიერების ამოსუნთქვა მომესმა *(რადიოში აეროპორტის განცხადებებისთვის ჩვეული სამი ბგერა გაისმის, ხმაური და დიქტორის ხმა: "კოლომბოში, სიდნეიში, ლაროშ-*

მიგენში მიმავალ მგზავრებს ვთხოვთ სასწრაფოდ გამოცხადნენ...”).

- აგლაე - ჟოზეფ! სად იყავი? ყველგან გეძებე!
- ჟოზეფი - კომპრესორები?
- აგლაე - რიგისტრირებულია.
- ჟოზეფი - ჩემოდნები?
- აგლაე - (მოუთმენლად) ჩავაბარე.
- ჟოზეფი - ფოტოაპარატურა?
- აგლაე - აქაა! კამერებიც.
- ჟოზეფი - მაგნიტოფონები (რადიოში: “ბატონ ჟოზეფს, ვთხოვთ ბატონ ჟოზეფს პასპორტის კონტროლზე. გასასვლელი 7794. ვთხოვთ, 7794-თან, ბატონ ჟოზეფს”).
- აგლაე - (მისკენ გაემართება) ჟოზეფ! აქ რას აკეთებ? ვერაფერი გამოგია (ხელს კიდებს). მოდი, უნდა წარგადგინო. ერთი მაზალოთა ბანდა მიემგზავრება. შეხე რასა ჰგვანან... ბალის კუნძულის თაობაზე კი უნდა გაინძრე. აგვისტოში კრემაციისთვის განკუთვნილი პირველი სამი რიგი უკვე დაკავებულია. გინება-ლა დაგრჩა. გაიძვერები, ყველგან, ყველგან ერთი და იგივეა. ათენში, ფლორენციაში. მხოლოდ მადარიჩი... გესმის? მხოლოდ ბაკშიში... ბიჭო, რას ვაკლდებოდი, საკუთარ კრემაციას. აზრზე მოდი: პარიზი - ბალის კუნძული და ტიკ-ტაკ! მართალია, კარგად გამოვიყურებოდი. კიდევ კარგი, თავის დაცვა მოვახერხე.
- ჟოზეფი - (კუნტრუშით) აგლაე!
- აგლაე - სად დამეკარგა ეს კაცი?
- ჟოზეფი - ხმას თუ არ გამცემ, გაგექცევი (აგლაეს თითქოს რაღაც ქაღალდს აწვდის). ეს თუ ნახეთ?
- აგლაე - რა არის?
- ჟოზეფი - მე გახლავარ.
- აგლაე - კაცი ვერ გიცნობს.
- ჟოზეფი - როგორ? ყველაფერი ადგილზეა. ჩაბეჭდილი, ლამინირებული, დამოწმებული, ჩაკომპიუტერებული, წაკითხვალა რჩება. კითხვა თუ იცით? იცით?

- აგლაე - 03-41-01-12-125...
- ჟოზეფი - მანახეთ... 125...
- აგლაე - 125-38-74...
- ჟოზეფი - 6-732. აი, ეს მომწონს, 732. პუატიეს ბრძოლის თარიღი *(იფხორება)*. როგორ მიხდება! როგორა მგავს ეს თარიღი!
- აგლაე - 1789-14-18. ამას დამიხედე, 732-17-89-14-18. არა! ნამდვილად გაგანებივრეს. რა მშვენიერი სახელია, ადვილად დასამახსოვრებელი *(ჟოზეფს ჩაეხვევა)*. ვაჟკაცური და ინტიმური. თოთხმეტი-თვრამეტი! მაკოცე, ძვირფასო, მომეხვიე *(ერთმანეთს კოცნიან)*. რა კარგია!
- ჟოზეფი - *(აგლაეს არ უშვებს, ეხვევა)* თქვენი, ძვირფასო, თქვენი სახელი? რა გქვია? სახელი...
- აგლაე - *(მორცხვად)* გამოიცანი.
- ჟოზეფი - აზრზე ვერ მოვდივარ! *(აგლაიე ყურში ჩასჩურჩულებს)* არა?!
- აგლაე - დიახაც.
- ჟოზეფი - მშვენიერია.
- აგლაე - გაიმეორე, გთხოვ, ჩემი ხათრით, მასიამოვნეთ.
- ჟოზეფი - *(თეატრალური პაუზის შემდეგ)* გამგზავრება. სიმარტოვე. თავისუფლება.
- აგლაე - რა ცუდი ხარ!
- ჟოზეფი - *(გამოფხიზლდება)* 37-37. SOS-75! ძვირფასო!
- აგლაე - ძვირფასო! *(ერთმანეთს ეხვევიან. ასე ჩახუტებულები მოძრაობენ)*. არაჩვეულებრივად პრაქტიკულია, თანაც... თითო-კაცზე. აბა! შეუდარებელი ნაირფეროვნება, შეუდარებელი ფანტაზია.
- ჟოზეფი - ტროპიკული ბარაქა; ოცციფრიანი გაუჩხავი ტყე ძირში-მოჭრილი ასოებით? ან ასოების გარეშე! პრეფიქსებით, სუფიქსებით, ანაკოლუფებით, ლოგარითმებით დატენილი, ოქრო-ვერცხლით შემოსილი. და მაინც, უჩვეულო ნაირფეროვნების, უსასრული ნაირგვარობის მიუხედავად, თვითოეულს თავისი, საკუთარი ნომერი, თავისი “მე” გააჩნია.

- აგლაე - არავითარი შიში, რომ ვინმე დაზღვეულ წერილში აგრეეს.
- ჟოზეფი - თანაც კაცი, ქალი, ყველა ერთია... ციფრები და სხვა არაფერი! სექსი! დიქტატურა დამხობილია!
- აგლაე - სრული თანასწორობა!
- ჟოზეფი - თუ დაუძახებ: ჟოზეფ!
- აგლაე - ჟოზეფ? ვინ არის ჟოზეფი?
- ჟოზეფი - ჟოზეფ!
- აგლაე - არ ვიცნობ!
- ჟოზეფი - ჟოზეფ!
- აგლაე - ჟოზეფ? არ ვიცნობ.
- ჟოზეფი - ჟოზეფ!
- აგლაე - *(ჟოზეფისკენ მიემართება... მოულოდნელად იცვლის მიმართულებას)* ბატონო?
- ჟოზეფი - თქვენა ხართ ჟოზეფი?
- აგლაე - ნამდვილად!
- ჟოზეფი - თქვენ ნამდვილად ჟოზეფი ბრძანდებით? *(პაუზა)* დამიმტკიცეთ.
- აგლაე - *(ტუნებს დაბრეცხ)* კმარა!
- ჟოზეფი - მიდი, მიდი.
- აგლაე - ვერა მცნობთ?
- ჟოზეფი - ჟოზეფები ნამდვილად არასდროს დაგვეკლებია...
- აგლაე - აბა... ფეხებში გვებლანდებიან, კედლებზე აკრულნი არიან... აფიშებივით... მათ გზა და გზა ვკარგავთ. არ ვიცი პირდაპირ... რას ჰგავს ეს?
- ჟოზეფი - *(აგლაეს პირისპირ)* ნიშანი რომ დაგედოთ, ადვილად იპოვნით *(აგლაეს ზურგიდან მოუვლის)*. არასდროს გესმოდა ჩემი!

- აგლაე - *(მაკეტებისკენ მიემართება)* მე, ჟოზეფი, მწყობრში დავდივარ, ნაბიჯაწყობილი. რიტმულად. ამყევით, ჟოზეფები, ვინჩაროთ, აბა, ერთად, ჟოზეფებო.
- ჟოზეფი - აგლაე გაჯავრებულია.
- აგლაე - *(დეკორაციიდან გამოდის, ხელებს ჭუჭყიანი ჩვრით იწმენდს)* ყველანი შევამოწმე, ნაწილებად დავშალე, ზუსტ დროზე დავაყენე.
- ჟოზეფი - *(პროფილით მაყურებლისკენ, აგლაეს პირისპირ)* ეხლა მე უნისონით ვლაპარაკობ, ერთად, ერთდროულად გამოვთქვამ, წარმოსახვაც ერთიანი მაქვს. მე ყველა ვარ.
- აგლაე - *(მაკეტებისკენ მიბრუნდება)* მათგან ორი თუ სამი მოიშალა, დასამსხვრევად გადავაგზავნე.
- ჟოზეფი - *(მაკეტების წინ)* რას ამბობთ, რომელი?
- აგლაე - *(იატაკზე გაშოტილი, მაკეტებიდან თავს გამოყოფს)* გიყვარვარ, ჟოზეფ?
- ჟოზეფი - მიყვარხარ თუ არა, ჩემო საწყალო ზანზალაკო? ამას მე მეკითხები? აბა, ამას რა ჰქვია? *(გრამოფონისკენ მიემართება და მომდევნო რეპლიკებს მოკლე მუსიკალური პასაჟებით გაახმოვანებს. ისმის თანამედროვე, რეტრო, ლამაზი, ეულგარული, სენტიმენტალური, მოჩვენებითი თუ მართლაც გიჟური სიმღერების ნაწყვეტები)* აი, ეს?! აბა, ეს რა არის? სიყვარული არაა? გრძნობა?! ვნება?! ამაზე უკეთ რით დაგიმტკიცო?
- აგლაე - *(ჩაეხვევა)* ჩემო... ჩემო კუსკუსა!
- ჟოზეფი - *(მოიშორებს. ისევ გრამოფონი)* მოიცა! რადგან ასე გინდა, ეხლავე მოგემსახურები, აი, ეხლავე მოგართმევ. აი, სოფელიც. ხომ გიყვარს სოფელი?
- აგლაე - იცი, მე და ბუნება...
- ჟოზეფი - სიმარტოვე, ჩერჩეტო. ვერ გაიგე? ვერა? სულ ხომ არ გამოვსულეღლით ორივე? ნუ თამაშობ უმანკო ასულს. სიმარტოვე აგვანთებს, აგვანთებს. შე ბატო, შენა. ბუნების წიაღში ვიჟიმაოთ (გრამოფონში ისმის ტანგოს ჰანგები. აგლაე და ჟოზეფი რამდენიმე სვლას აკეთებენ. შემდეგ ტანგო მკვეთრად გადადის ბახის "სამების საკვირაო კანტატაზე" "სული ჩემი მორწმუნე, კრთის და გალობს". პაუზა. გრამოფონი ჩერდება). მოკლედ, მიყვარხარ. ან ჰო, ან ჯანდაბას!

- აგლაე - სულ ერთად, არავითარი სტუმრები (*ქოზეფი მსუბუქად შემოტრიალდება. აგლაე მის უკან იგივე მოძრაობას აკეთებს*). ის ქოზეფიც გზაში დამეკარგა! (*ქოზეფი გვერდში ამოუდგება, ორივე მიმართულებას იცვლის*).
- ქოზეფი - სწრაფად, ჩუმ-ჩუმად დაუჩინარდა.
- აგლაე - კედლებს გაყვა (*ქოზეფს გარს უვლის, მეორე მხრიდან ამოუდგება*).
- ქოზეფი - სიბნელიდან გამოსხივებული მოძრაობადა დაამჩნა.
- აგლაე - სიბნელეშივე შთანთქმული.
- ქოზეფი - ამოოხვრა.
- აგლაე - დაჩაჩანაკებული არღეკინი (*ქოზეფი აგლაეს დაიჭერს და ტუჩებზე ხელს ააფარებს*).
- ქოზეფი - სულისგულს გავიჭყელიტავ, მაგრამ პირში ჩაჩრილ ბურთს გავანთავისუფლებ.
- აგლაე - უხმაუროდ.
- ქოზეფი - აუჩქარებლად.
- აგლაე - ვიპარები, ვქრები.
- ქოზეფი - (*გაქვავებული*) რბილი, უხმაურო ლანჩებით.
- აგლაე - მსუბუქად, ღმერთის წყალობით.
- ქოზეფი - ვცეკვავ (*ქოზეფი და აგლაე ერთმანეთს გარს უვლიან და პირისპირ ჩერდებიან*).
- აგლაე - ვიცოდი, ვიცოდი, რომ ჩემი მიტოვება გადაწყვიტე.
- ქოზეფი - აბა, რას ამბობ, ჩემო ქალბატონო? ჩვენ ქოზეფი გავაბრძანეთ აქედან! მოვიშორეთ! თავს გვაბეზრებდა.
- აგლაე - (*დეკლამაციით*) მივდივართ, აგლაე. მარტოობა, აგლაე, სიწყნარე, აგლაე.
- ქოზეფი - უაცრად გაგვეპარა, ცის ლაჟვარდმა მიიტაცა. ის... ქოზეფი... ის დუნდულებში მომწყვდეული ბუშტი.
- აგლაე - რა ვქნა ეხლა? ცას შევაჩერდე?
- ქოზეფი - მივდივართ, ჩემო სიყვარულო. სიმარტოვე.

- აგლაე - *(სწრაფად ჩაეხვევა)* რა კარგია, ძვირფასო! რა ბედნიერი ვარ. მალე დავიწყებთ?
- ჟოზეფი - *(ვარჯიშობს)* ესლავე *(პაუზა)*.
- აგლაე - ჟოზეფ? ისე, უდაბნოში ნუ წავალო. ორნი, მარტონი, წყლის გარეშე? ზოგიერთები ვერ იტანენ უდაბნოს. ქვები...
- ჟოზეფი - სიწყნარე და მინერალები *(პაუზა)*. ცოტა ხმაური, თუ შეიძლება!
- აგლაე - სიწყნარეც... არავინ. არსად. არავინ.
- ჟოზეფი - ცოტა ხმაურს ხომ ვერ მომიძებნით? ერთი უბედურისთვის მჭირდება, რომელმაც კოლეგების და პიკის საათის შეგრძნება სადღაც მიკარგა *(ჟოზეფი დეკორაციისკენ მიემართება)*. აღარავინაა, ბატონებო და ქალბატონებო, ხალხი გაქრა, აორთქლდა. ადრეე ასი ათასი იძინებდა და სამი მილიარდი იღვიძებდა. ხმაური ხორცის მაგივრობას წევს, ხმაური გვევედრება, გვაძლებს, გვამშვიდებს, იავნანას გვიმღერის და ოცნების უნარს გვინარჩუნებს *(გრამოფონში მანქანების, ბურღვის, ჭყლეტის, ჩხუბის და სხვ. ხმაური ისმის)*.
- აგლაე - თქვენ ჩემს ხმაურში ხართ, გეთაყვა, ეს ჩემი ზონაა. დაჯავ-შნუ-ლი-ა.
- ჟოზეფი - თქვენი ხმაური სრულყოფილი არ არის. კეთილი ინებეთ...
- აგლაე - გაიწიეთ, გეთაყვა.
- ჟოზეფი - აი, აქ, აქ უკვე ჩემს ყურებში ბრძანდებით.
- აგლაე - *(ჟოზეფის ზურგს უკან)* ესროლე, ჟოზეფ! ცეცხლი! *(წინიდან დაუდგება)*
- ჟოზეფი - ბარიკადები აღვმართოთ, აგლაე.
- აგლაე - უდაბნოში?
- ჟოზეფი - რატომაც არა? ვინც იქ პირველი ჩავა *(მხარზე წაკრავს ხელს)*, ბაჰ! და ჩაბარდება! *(ვარჯიშობს)* უმთავრესი მშვიდობაა, გესმის? მშვიდობა და მედიტაცია, ფიქრი.
- აგლაე - განრიდება.
- ჟოზეფი - *(მალაღფარდოვნად)* განმერიდე, აგლაე.

- აგლაე - *(ოდნაე უკან დაიხვეს და ადვილს შეიცვლის)* კბილებ-
დათხრილი ოცნებები, ტყვია-თუთიის კუნძულები, გაპოხ-
ილი ორთქლი, ნავსადგურების ჭუჭყიან-ყავის-ფერი შე-
ლატინი.
- ჟოზეფი - მოგზაურობის პოეზია *(ხმაური: აეროპორტის კაკოფონია)*.
- აგლაე - *(დარბის დეკორაციაში, ჟოზეფს ზურგს შეაქცევს, ჩერდუ-
ბა. პაუზა)*. ცრუპენტელა, ბოთლში ჩატეხილი სამაფრიანი
გემის მეკობრე, შემოგარენის არგონავტო.
- ჟოზეფი - უძრავაფრიანი გემები, ტაიფუნები, გაუჩეხავი ტყეები.
- აგლაე - ბავშვობის სიზმრებია.
- ჟოზეფი - დარაბებს ჩრდილს მიღმა გარინდული აგვისტოს თვეები.
მოგონებანი.
- აგლაე - *(ჟოზეფის უკან დგას)* გგონია კარგადაა დალაგებული
შენი მოგონებანი? აბა, გამოაღე უჯრა.
- ჟოზეფი - ერთ მოსაწყენ, უიმედო საღამოს მათ გადმოაღაგებ,
გახსნი. სინაზე.
- აგლაე - იჩქარე, მეძინება. ასჯერ გაქვს ყველაფერი მოყოლილი,
ჩემო ფისუნია.
- ჟოზეფი - ფიგურები წვეთ-წვეთად იღვრება, ღიმილთა მურაბა, ოც-
ნებათა ჰაშიში *(სწრაფად, დეკლამაციით)*. მეზღვაურები,
ორანძა ნავეები, კაპიტანი, უკაცრიელი კუნძული, ნისლი,
ჰიმალაია.
- აგლაე - *(ისევ ჟოზეფის უკან)* პატარა მეზობელი გოგონა მარწყ-
ვით გამოტენილი პირით.
- ჟოზეფი - *(მსუბუქად შემოტრიალდება)* მარწყვი... ჩემი თითებით,
ცხვირით, ლოყებით, ნიკაპით ნაზად გადასრესილი.
- აგლაე - *(ჟოზეფის უკან)* ჩემი ტუჩები *(პაუზა)*. მანქანის დაჯახება
*(ისმის მუხრუჭების კლაქსონის საშინელი ხმაური - შე-
ჯახება - ყვირილი)*.
- ჟოზეფი - *(აგლაეს მიუბრუნდება)* გიყვარვარ, აგლაე? *(პაუზა)*
- აგლაე - რა საკითხავია *(გარამოფონზე იგივე სიმღერებს აახ-
მიანებს, რაც წინა სცენაში, მაგრამ უფრო ხანმოკლედ)*.
არ გჯერა? ისევ ეჭვები? დაგიმტკიცო?

- ჟოზეფი - მკვდარი ხარ, გესმის? ჩაძაღლებული, დაღეჭილი... უსახელო, სხვათა ოკეანეში მივიწყებულნი. სანაგვეში გადასაგდები, ჩასატვირთი. აბა, გაახურეთ ნაგვის საწვავი ღუმელი.
- აგლაე - (უყურებს, თანაც ფრჩხილებს იქლიბავს) მკაფიოდ გამოთქვი, მეგობარო, არაფერი გვესმის.
- ჟოზეფი - შეუძლებელია. ლაპარაკისას თითქოს რაღაც მეყლაპება *(გრამოფონში ისმის დისკოს რამდენიმე ტაქტი)* ტა! ტა-ტა-ტა!
- აგლაე - ფეხები, ახალგაზრდავ, ფეხებიც გამოიყენეთ.
- ჟოზეფი - ოხვრები, დაპირებები, კეთილი ქალები, გამვლელები, კერპები, სიტყვები, ბუშტები, სიცილით ვსკდებით, ხოცვა და შიმშილი *(პაუზა. აგლაე ტრიალებს, ჟოზეფი უკან იხევს, სხვა მიმართულებით მოძრაობს)*. სიზმარს ფეხი გადავაბიჯე. კარს ფრთხილად ვაღებ. იატაკი ჭრაჭუნით ოხრავს.
- აგლაე - დერეფნის ღარნაკისებრ სიღრმეში ვიძირები. სამალავს ალბათ ვერ მივაღწევ.
- ჟოზეფი - მხოლოდ ჩვენთვის განკუთვნილი ადგილია, აგლაე!
- აგლაე - ეს ხმა მეცნობა *(აგლაე და ჟოზეფი გაირინდებიან, მაგრამ ყურადღება სხვადასხვა მიმართულებით აქვთ დაფიქსირებული)*. ეი! თქვენ! დიახ, თქვენ.
- ჟოზეფი - მავთულს გაუფრთხილდით.
- აგლაე - ზედმეტად ექაჩებით.
- ჟოზეფი - არ ამოგლიჯოთ, ფრთხილად.
- აგლაე და ჟოზეფი - (ერთად მღერიან) ასე ვართ, ვართ, ვართ, ჩვენ, პატარა თოჯინები! *(გაირინდებიან. პაუზა)*
- ჟოზეფი - (აგლაეს როგორც ავტომატს, ისე ამოძრავებს) ვინმე იფიქრებს, რომ... ამას რამე გაეგება.
- აგლაე - *(მაკეტებისკენ)* გთხოვთ, ბატონებო და ქალბატონებო, შემდეგ გაჩერებაზე არ ჩაბრძანდეთ, მარტო არ დამტოვოთ, ნუ მიმატოვებთ. იტალიის მოედნამდე კიდევ რვა გაჩერებაა. რა კარგია, არა? რამდენი დრო გვაქვს სალაპარაკოდ.

- ქოზეფი - ჩემს ქმართან ლაპარაკი შეუძლებელია, მერწმუნეთ. ველურია.
- აგლაე - *(ქოზეფს მიუბრუნდება)* მიყვარს ხალხთან ლაპარაკი.
- ქოზეფი - *(კვლავ აგლაეს უკან)* ადამიანების მიერ დავიწყებული ლაყბობის ზღვაში ჩაძირვა მომინდა *(გაეცლება, ცოტა მოშორებით დადგება)*. ალო, ლაპარაკობს რადიოსიურპრიზი.
- აგლაე - გამარჯობა, ქოზეფ! რა მშვენიერი სიურპრიზია.
- ქოზეფი - ბრავო. უკვე მოიგეთ 32 ფრანკი და 25 სანტიმი, მოიგეთ, აგრეთვე, პლექსიგლახის ტუალეტი. დარჩით ჩვენთან ერთად.
- აგლაე - რა თქმა უნდა.
- ქოზეფი - მაშ, 50 ფრანკად, ვიმეორებ, 50 ფრანკად მოგვიყვებით თქვენი პირველი სიყვარულის ამბავი. რაო? ძალიან მორცხვი ბრძანდებით. როგორ? ასე იყოს. სულ ერთია. შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ ფინალში, შეგახსენებთ, რომ ბედნიერი გამარჯვებული ერთ კვირას გაატარებს... *(გრამოფონში ისმის ინდური, არაბული და ჩინური მუსიკა)*. ეხლა, ჩვენი ახალი მეგობარი აგლაე მოგვიყვება...
- აგლაე - *(ბეჭითი მოწაფის ინტონაციით)* ჩემი პირველი ორგაზმის შესახებ. უმთვარო ღამე იყო...
- ქოზეფი - ჩვენ გავემგზავრეთ. უკან დაბრუნება არც გვიფიქრია. თავისუფლები...
- აგლაე - *(მეგაფონში - ქუჩაში, გაზეთის გამყიდველის ინტონაციით)* სიხუმის აღმოსაჩენად! ექკლუზიური სიხუმის!
- ქოზეფი - *(მეგაფონს ჩამოართმევს)* ლიმიტირებული მაქსიმუმი ორასი მონაწილეა.
- აგლაე - *(მეგაფონში)* ორასი ძმაკაცი. ატმოსფერო, გარემო, განწყობა. ფიესტა. ღამე პატარა საძინებელში. სიმარტოვეს თავისი სიხუმე გააჩნია.
- ქოზეფი - სიხუმე, სიმარტოვე *(მუხლებზე დაეშვება)*. უფალო, გვიბოძე ჩვენი კუთვნილი ყოველდღიური ხმაური ზეცასა და დედამიწაზე *(გრამოფონში ხმამაღლა ისმის საეკლესიო საგალობელი, რომელიც წყდება, როგორც კი ქოზეფი წამოდგება)*. მოდით, ხალხო, ხმაური ყველას ეყოფა!
- აგლაე - ქოზეფ, მე აქა ვარ. ხელი მომკიდე, რომ არ დავიკარგოთ.

- ქოზეფი - (აგლაეს ეხვევა) მართლა?
- აგლაე - *(თავს ინთავისუფლებს, მსუბუქად ტრიალებს)* ამბობდნენ, რომ... *(პაუზა)*
- ქოზეფი - (იგივე მიმართულებით ტრიალებს) მარტონი ვიქნებოდით, მხოლოდ ჩვენ...
- აგლაე - სამუდამოდ.
- ქოზეფი - ხმაურის გარეშე.
- აგლაე - ამბობდნენ, რომ მშვენიერი იქნებოდა...
- ქოზეფი - ამბობდნენ, რომ არავინ შეგვიშლიდა ხელს. ამბობდნენ, რომ ძალდატანება აღარ დაგვჭირდებოდა.
- აგლაე - ამბობდნენ, რომ ყოველგვარი დაბრკოლება გაქრებოდა.
- ქოზეფი - არასდროს არაფერს ვიტყვოდით, არავისთან.
- აგლაე - *(პირველი მოვება გონს)* არავინ, არაფერს. გეყოფა, ქოზეფ! გესმის, რას ამბობ?
- ქოზეფი - *(მრისხანედ)* არავინ!... სამოთხე...
- აგლაე - *(მოშორდება)* თითო სართულზე თითო ლაქია და ვიგაღდის მუსიკის ფონი. ჭკუას მოუხმე, ჩემო...
- ქოზეფი - უზენაესი სიფრთხილის ხატო, წმინდა აგლაე! ზომიერი ჯალათების მიმართ ბზიკიანი ვარ. მორჩა, გათავდა, ჩაღადა, განადგურდა თავაზიანობა, აუცილებელი საუბრები, გულისწამდები უსასრულო მუსიკალური ფონი, ბრბო. იცი, ვინა ხარ შენ ამ შენი სიფხიზლით? ტერორისტი! სანაგვეზე - ქალთა დღე და სხვა დღესასწაულები!
- აგლაე - დამშვიდდი. ვინმეს გიჟი ეგონები.
- ქოზეფი - *(დეკორაციიდან)* სულელები, ლაჩრები, მათთან რა მაქვს საერთო?
- აგლაე - და სხვები?
- ქოზეფი - ვინ სხვები?
- აგლაე - სულელები.
- ქოზეფი - მათ ჩემი შურთ. მე თავისუფალი ვარ, თავისუფალი.

- აგლაე - *(ჟოზეფის უკან)* უკვე? დარწმუნებული ხარ? *(პაუზა)* აკრძალულია.
- ჟოზეფი - აკრძალულია გარეთ გახედვა.
- აგლაე - საკუთარ თავში ჩახედვა.
- ჟოზეფი - აკრძალულია განმარტოებით ფიქრი.
- აგლაე - *(ჟოზეფის უკან)* აკრძალულია მარტო ლაპარაკი.
- ჟოზეფი - აკრძალულია თვალების დახუჭვა, აკრძალულია განუმეობა, აკრძალულია, აკრძალულია... აუცილებლობის გარეშეც ყველაფერი აკრძალულია. მსურს ქუჩები დაგაცარიელო, მეტრო ამოვახშო, აურზაური წამალივით გამოვწერო.
- აგლაე - ბატონი თავის ფანტასმაგორიებს ეაღერსება, ბატონი საკუთარ ნარწყევს ღეჭავს.
- ჟოზეფი - ჩემო გოგონა, ამაზე მარტივი არაფერია. ჩემი ნარწყევი თუ არ მოგწონს, სხვისასაც ნუ მიირთმევ *(აგლაე გაეცლება, ისმის დებიუსის პრელუდი)*. აგლაე, მისმენ?
- აგლაე - *(თავის მოძრაობით)* ვისმენ! დებიუსის!
- ჟოზეფი - *(გრამოფონს უახლოვდება, ძალიან ხმამაღლა ისმის პირველი ნაწყევტი "ჯარისკაცი, აღსდექ!", კლარნეტის სოლო მოცარტის "მაჯადოებელი ფლეიტიდან". აჩერებს გრამოფონს. პაუზა)*. სინამდვილეში შენ ვერ იტან სიმკაცრეს... აბსოლუტისაკენ ჩემს სწრაფვას.
- აგლაე - *(წაიმღერებს)* აბსოლა-ლა-ლა-ლუტი. გახსოვდეს, აგლაე, მოცმული კომპლექტის ნახევარზე მეტს თუ უარყოფ, სკანდალი გელის.
- ჟოზეფი - გუნდად აკნაველებული კნავანა და მისი აზრიანი მოსაზრებანი. მადლობთ, ჟოზეფ. აქ განისვენებს ჟოზეფი. აბა, მადლობა გადაუხადე ქალბატონს, მოწყალე უფალს, ტელევიზიას, გამგლელებს.
- აგლაე - ფრთხილად, ჟოზეფ. მივიწყებას არ მიეცეს შენი სახელი *(პაუზა)*. მაშ, პატივცემულო, მალე წავალთ უკაცრიელ კუნძულზე? *(პაუზა)*. ისე... მართლა უკაცრიელ კუნძულზე ხომ არ ვიცხოვრებთ.
- ჟოზეფი - რატომაც არა...
- აგლაე - სერიოზულად გელაპარაკები.

- ჟოზეფი - მეც.
- აგლაე - უკაცრიელ კუნძულზე იცხოვრებ?
- ჟოზეფი - დიას.
- აგლაე - ალბათ, კატასტროფის შემთხვევაში.
- ჟოზეფი - სიამოვნებისთვის, გესმის შენ? ნებისმიერი პირობით.
- აგლაე - და... შენ იქ დარჩები?
- ჟოზეფი - ბოლომდე.
- აგლაე - ეს ხომ სიგიჟეა, ეს... ეს საშინელებაა.
- ჟოზეფი - შენ არაფერს გაიძულებ.
- აგლაე - *(აღერსიანი მოძრაობით)* სუფრასთან მობრძანდით, კაცი-ჭამიებო.
- ჟოზეფი - ნამდვილი ველურები აღარ არსებობენ, აგლაე. ტრანზისტორმა ისინი კარგად გაწვრთნა.
- აგლაე - იცი, რისი მეშინია?
- ჟოზეფი - დროის შესუნთქვის, ცხოვრების თითოეული ნაბიჯის შეგრძნების... *(პაუზა)*
- აგლაე - უცნაურმა ავადმყოფობამ, მთელი ქვეყნის განადგურების შემდეგ, საზღვრები გადალახა, ოკეანეებსა და მთებს გადააბიჯა. შეშინებული მდიდრები და გავლენიანი პირები ნაჩქარევად აშენებულ ციხე-სიმაგრეებს აფარებდნენ თავს. ბრძანების გარეშე ესროდნენ ყველას, ვინც მათ წინ გაივლიდა. ყველა თავის სახლში გამოკეტილი ცხოვრობდა. ნიდაბაფარებულნი და დეზინფექციის ორთქლით გაბოლილნი, სიფრთხილის მიუხედავად, ისინიც ისევე იხოცებოდნენ, როგორც ღარიბნი. მათი გახრწნილი გვამები კი ფაფუკ ხალიჩებსა და ძვირფას მარმარილოს აფუჭებდა. უბედურება გადამდები იყო ეფემერული მსგავსებით აზრთა გაცვლა-გამოცვლით. აბა, ერთხელ მაინც როგორ არ გაიფიქრებდი იმაზე, რაც ირგველივ ხდებოდა. ჰოდა, გაფიქრებაც კი საკმარისი იყო, რომ ეს უბედურება, ეს კიბო თქვენს სხეულში მოკალათებული. სიტყვები, ხმაური, თვით მუსიკაც კი იზიდავდა ამ ჭირს, რომელიც არავის ინდობდა. ვერავინ დაიკვირებოდა, რომ იდეალურ თავშესაფარს მიაგნო. ეპიდემია ყველაზე ძლიერად მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში მძვინვარებდა. ისინიც კი, ვინც ადრევე გათ-

ვალა განმარტოება და უკაცრიელ ადგილებს მიაშურა, განგებას ვერ დაუსხლტა ხელიდან. გარდაუვალი სიკვდილი სადაც დაეწეოდა, იქვე მიწაზე ანარცხებდა მათ. არც გახიზვნა, არც თავშესაფარი, არც ვაქცინა, არც ლოცვა. ადამიანთა მოდგმა სიკვდილისკენ მიექანებოდა.

- ჟოზეფი - მე არავის სიკვდილი არ მსურს. მე ვითხოვ სიმშვიდის ჩემს კუთვნილ ნაწილს, ჩემს უფლებას. არც მეტი მინდა, არც ნაკლები.
- აგლაე - და იმისთვის, რომ ეს მოიპოვო...
- ჟოზეფი - *(ტრიალდება. პაუზა. აგლაეს ხელს კიდებს)* მოდი, ნუ გეშინია.
- აგლაე - რა სიბნელეა *(პაუზა)*. რა სიცივეა!
- ჟოზეფი - თითქმის ოთხი საათია მივცოცავთ.
- აგლაე - მწვერვალზე ასე აჩქარებული ასვლა ვიწრო ბილიკით. თავბრუ მეხვევა. მარცხნივ კრატერისკენ რომ ვიხედებოდი, შიში მიპყრობდა.
- ჟოზეფი - აქეთ-იქით მოქანავე მწვერვალი, ოქროსფერი მტვრის კონუსი ქვემოთ, აბუბუნებული ჯოჯოხეთისკენ მიგვაქანებდა.
- აგლაე - ხელი არ გამიშვა, ჟოზეფ.
- ჟოზეფი - მეორე მხარეს გაიხედე.
- აგლაე - უზარმაზარი ნაცრისფერი სივრცე, შვეულად, ხარბად მოედინება. გაყინულია.
- ჟოზეფი - ზგავი წამოვა.
- აგლაე - გაყინული ლავის ზედაპირზე ქვა-ღორღის გრიალი. ღმერთო, რა სიღრმეა! *(აგლაე წაიბორძიკებს. ჟოზეფმა აგლაეს ხელი ჩახჭიდა და ქვემოთ ჩამოსვლა დაიწყო)*
- ჟოზეფი - *(წაიბორძიკებს)* ორიოდ ნაბიჯიც საკმარისია.
- აგლაე - რომ გადავეშვა?
- ჟოზეფი - და ჩაიძიროთ მოულოდნელად ამტვერებულ ფერფლის ბურუსში, რომელიც მშვიდ, მსუბუქ, შეუმჩნეველ, მაგრამ უეჭველ საფარად იქცევა მათთვის *(პაუზა. ორივე ცვლიან მიმართულებას)*.

- აგლაე - მაპატიეთ, გეთაყვა, სურათს ხომ ვერ გადამიღებდით, ჩემი ქმარი შორსაა *(გრამოფონში ისმის ხმამაღალი საუბარი, შეძახილები, მუსიკა. პაუზა)*. მეშინია, ჟოზეფ. იქ ვერასოდეს მივალწევთ *(წრიალებს)*. შენც გეშინია, ჟოზეფ.
- ჟოზეფი - *(ვარჯიშობს)* ყველაფერი გათვალისწინებულია.
- აგლაე - ეს ხომ ძალიან ძნელია.
- ჟოზეფი - *(ვარჯიშობს)* მოფიქრებულია.
- აგლაე - სიჩუმე, სიმშვიდე, სიმარტოვე. ძალიან შორსაა ეს ყველაფერი.
- ჟოზეფი - *(ვარჯიშობს)* გათვლილია- დადებითი, აღმოფხვრილია უარყოფითი.
- აგლაე - მაშინებ, ჟოზეფ.
- ჟოზეფი - ვიცხოვრებთ, აგლაე.
- აგლაე - ვიცხოვრებთ? დარჩენილ დროს რაღა ვუყოთ?
- ჟოზეფი - თავისუფლება.
- აგლაე - სად წავალო?
- ჟოზეფი - *(ტრიალებს)* საკმაოდ შორს, რათა მოვისმინოთ, როგორ მიყუჩდება ლურჯად დაჩრდილული მწვერვალებიდან წამოსული ჰარმონიული თანახმიანობა, რომელიც ფოჩებთან ნისლსა და ტბის ყვავილებს ესაუბრება.
- აგლაე - *(ტრიალებს)* მე ვარდების შრიალი, ხმაური მიყვარს. დილაობით.
- ჟოზეფი - რა თქმა უნდა, სიყვარულო, აირჩიე.
- აგლაე - ცოტა მკვეთრია ვარდებითა და თხევადი ნაცრისფრით გაუღენთილი სექტემბერი? თოლიებით გადაბუმბლული პლაჟი, ჩვენი ნაბიჯებით აფორიაქებული ჰაერი, დაჭმუჭნულ ქსოვილს რომ ემსგავსება და წყლის ჩუხჩუხს რომ ეფინება *(პაუზა. მიმართულებას იცვლის)*. სოფელი, განსაკუთრებით ზამთარში, საშინელებაა.
- ჟოზეფი - მტრედისფერი ტყეები კი...
- აგლაე - ამაზონია, ეგზოტიკურობა, იცი, ზედმეტად კონკრეტული მეჩვენება.

ჟოზეფი - *(თითქოს თოკს ყელზე იხვევს)* ყველაფერი წინა გვაქვს, ძვირფასო.

აგლაე - სარტყელები შეიკარით.

ჟოზეფი - წამებულნი ასაფრენად ემზადებიან *(პაუზა)*. ერთ მშვენიერ დილას უსიტყვო გვამებად ნამდვილად აღარ გავიღვიძებთ. მომყვები, ძვირფასო?

აგლაე ჟოზეფისგან საპირისპირო მიმართულებით იყურება. გაქვავებული ჟოზეფი დეკორაციისკენ მიემართება. ისმის სიცილი, სხვადასხვანაირი სიცილი. ფარდა ეშვება.

ნაწილი მეორე

მსახიობებს შეუძლიათ ტანსაცმელი გამოიცვალონ და ჩაიცვან, მაგალითად, ტიროლის სტილის შორტები.

- ჟოზეფი - ვარჯიშობ, აგლაე?
- აგლაე - *(შეწყვეტს ვარჯიშს)* შენც ივარჯიშე, მეგობარო.
- ჟოზეფი - ვარჯიშის შემდეგ ტექნიკა დაამუშავე. მთავარია ტექნიკა, აგლაე *(სცენის კუთხისკენ მიემართება, უოკი-ტოკის ამოიდებს. რადიოგადმოცემის იმიტაცია)*. ლაპარაკობს ჟოზეფი, ლაპარაკობს ჟოზეფი. გესმით ჩემი?
- აგლაე - *(საპირისპირო კუთხიდან თამაშში ერთვება)* მიღებუღია, ჟოზეფ. თქვენი ჯერია.
- ჟოზეფი - ხუთი ხუთზე.
- აგლაე - *(იმავე სტილში, ოღონდ ჯერ უოკი-ტოკის ინსტრუქციას ეცნობა)* თანახმა ვარ.
- ჟოზეფი - *(ისიც ხმარების ინსტრუქციაში ჩაიხედავს)* თქვენი ჯერია, აგლაე, თქვენი ჯერია.
- აგლაე - *(ისევე ინსტრუქციით)* ხუთი ხუთზე, ჟოზეფ, ხუთი ხუთზე. დავამთავრე.
- ჟოზეფი - *(ინსტრუქციით)* დავამთავრე... ეხლა რას ვაკეთებთ, აგლაე.
- აგლაე - აზრზე არა ვარ, ჟოზეფ, აზრზე არა ვარ. ჩაიხედე ინსტრუქციაში, ჩაიხედე ინსტრუქციაში. იქნებ რამე წერია. დავამთავრე.
- ჟოზეფი - კი, მაგრამ რა, აგლაე, რა?
- აგლაე - არ ვიცი, მე არ ვიცი. წაიკითხე. დავამთავრე.
- ჟოზეფი - *(ინსტრუქციით)* მხოლოდ ბატარეებია და ანტენა.
- აგლაე - შინაარსი არ არის? შინაარსი არ არის?
- ჟოზეფი - ვერაფერს შემოგთავაზებ, ვერაფერს შემოგთავაზებ.
- აგლაე - ვამბობთ, რაც გვინდა? ვამბობთ, რაც გვინდა? დავამთავრე.

- ჟოზეფი - თანახმა ვარ.
- აგლაე - ესე იგი? დავამთავრე.
- ჟოზეფი - სულერთია, სულერთია, არავინს ვჭირდებით, არავინ გვჭირდება. ვაგრძელებთ.
- აგლაე - დავამთავრე. იცი, შენ გავიწყდება დაამატო - დავამთავრე, დავამთავრე.
- ჟოზეფი - გთხოვ, აგლაე, გემუდარები, აგლაე, თავი დამანებე, თავი დამანებე. დავამთავრე (პაუზა). შენი ჯერია, ღმერთო ჩემო, ილაპარაკე! დავამთავრე.
- აგლაე - აბა, რა გითხრა? დავამთავრე.
- ჟოზეფი - მთავარი! დავამთავრე.
- აგლაე - მიღებულისა. ხუთი ხუთზე. დავამთავრე.
- ჟოზეფი - თნახმა ვარ, აგლაე, თქვენი ჯერია.
- აგლაე - დავამთავრე.
- ჟოზეფი - რა დაამთავრე? თქვენი ჯერია, აგლაე.
- აგლაე - ჩემი ჯერია (პაუზა). დავამთავრე.
- ჟოზეფი - იჩქარეთ, მხოლოდ მთავარი. დავამთავრე.
- აგლაე - თანახმა ვარ. ლაპარაკობს აგლაე, ლაპარაკობს აგლაე. გესმით ჩემი?
- ჟოზეფი - ლაპარაკობს ჟოზეფი, ლაპარაკობს ჟოზეფი. ვლებულობ თქვენს ტალღას.
- აგლაე - ხუთი ხუთზე (პაუზა).
- ჟოზეფი - ხუთი ხუთზე (პაუზა). თანახმა ვარ (პაუზა). დავამთავრე (ჯდება).
- აგლაე - (სცენის მეორე კუთხეში ჯდება) დავამთავრე. ფანტასტიური მექანიზმია.
- ჟოზეფი - არაჩვეულებრივი, თანაც ძალიან საჭირო.
- აგლაე - ძალიან, ძალიან საჭირო. აქსპედიციაში ყოფნის დროს თითქმის აუცილებელი.

- ჟოზეფი - აბა, აბა.
- აგლაე - ინფორმაციული ასპექტის გარდა, მასში ადამიანურობა მიზიდავს.
- ჟოზეფი - კომუნიკაცია.
- აგლაე - ტელევიზორთან გამოტვირების მაგივრად...
- ჟოზეფი - ერთმანეთს ველაპარაკებით. იძულებული ხარ თავს ძალა დაატანო.
- აგლაე - თანაც გართობს *(პაუზა. ვარჯიშის ილეთი)*.
- ჟოზეფი - ეხლა კი რამე დიეტური, აგლაე.
- აგლაე - სულ ჭამა-სმა, რა უბედურებაა.
- ჟოზეფი - *(ისევ უოკი-ტოკით)* დიეტური, აგლაე, დიეტური.
- აგლაე - *(უოკი-ტოკით)* მიღებულია. ხუთი ხუთზე. დავამთავრე.
- ჟოზეფი - მაგრად მოხარშული კვერცხი და თევზის კონსერვი.
- აგლაე - საბრძოლო რაციონი. ორივეს - ერთი კოლოფი.
- ჟოზეფი - დღეში ერთხელ *(პაუზა)*. არ მოგეშვივდება?
- აგლაე - ნუ დედაე.
- ჟოზეფი - კვერცხი და სარდინები. მხოლოდ სარდინები, კვერცხი და წყალი. ხომ არ მოიწამლები?
- აგლაე - პირიქით. ვგიჟდები თევზზე.
- ჟოზეფი - *(პოზიციას იცვლის)* ფრთხილად, აგლაე, მოკვდები.
- აგლაე - *(პოზიციას იცვლის)* მოკვდი, ჟოზეფ.
- ჟოზეფი - *(წინა პოზიციას უბრუნდება)* გახსოვდეს: ეს ძალიან სერიოზულია.
- აგლაე - *(წინა პოზიციას უბრუნდება)* მახსოვს.
- ჟოზეფი - იცოდე, შენ მაიძულე.
- აგლაე - იცი, რას გეტყვი?

- ჟოზეფი - ჩემს წინადადებაზე ხომ უარი თქვი?
- აგლაე - სწორია.
- ჟოზეფი - მოხვეტე და გადაყარე ყველაფერი, რაც კი შთაგაგონე.
- აგლაე - სწორია.
- ჟოზეფი - ყველა პროექტი, რომლის განხორციელებაც ვცადე, ველურივით გააკრიტიკე.
- აგლაე - ზუსტია.
- ჟოზეფი - ოცნებებსაც კი დასცინოდი.
- აგლაე - მართალია.
- ჟოზეფი - ბოლოს და ბოლოს გამცემ პასუხს თუ არა? ჰო, ჰო, ერთხელ და სამუდამოდ ამოდერღე ყველაფერი.
- აგლაე - აღარაფერი გამეგებოდა.
- ჟოზეფი - ჩემი არასდროს გჯეროდა.
- აგლაე - ყველაფერს უარყოფდი.
- ჟოზეფი - დიახ. უარყოფდი. გლობალურად. ჩემს შესაძლებლობებს, გამოგონებებს, თავისუფლებისა და განმარტოების უფლებას.
- აგლაე - მეოცნებე ხარ.
- ჟოზეფი - კმარა! ნუთუ ასე სულელი გგონივარ?
- აგლაე - სულაც არა.
- ჟოზეფი - თავს იკატუნებ, სინამდვილეში კი ფეხზე გკიდევარ.
- აგლაე - არა, მერწმუნე, არა.
- ჟოზეფი - არ დამიწყო ეხლა გულის გადაშლა! დამამცირე, ტალახში ამომსვარე (*პოზას იცვლის*). მიუდივართ, აგლაე, მზად იყავი.
- აგლაე - (*იგივე მოძრაობა*) ისევ ზღაპრები, მასხარაობა, ტყუილები.
- ჟოზეფი - გეშინია. ნამცეცებად გინდა მაქციო. ნულოვანი ანათვალი...

- აგლაე - აჰა, მიკროფონი და აბრძანდი მაგიდაზე.
- ჟოზეფი - რაო, მიკროფონიო?
- აგლაე - შორიდან ცუდად ისმის *(დეკორაციისკენ მიემართება, მეგაფონს იღებს)*. გეშინია, ნამცეცებად გინდა მაქციოო. ნულოვანი ანათვალი *(ჟოზეფს მიუბრუნდება)*. მერე?
- ჟოზეფი - თუ ვერ ბედავ, მარტო წავალ.
- აგლაე - შენა, ჟოზეფ? ალაღბედზე მატარებელში არ ჩამჯდარხარ, შეთხვევით პატარა ქუჩაზე არ შეგისხვევია, ვენეციაშიც კი! გაიხსენე. გეშინია! გეშინია გამგზავრების და პირში ჩალაგამოვლებული დაბრუნების... გეშინია...
- ჟოზეფი - დამეხსენ თავიდან.
- აგლაე - მოდი, დაიძინე. ის, რაც საეჭვოა, შედეგს არ მოგვცემს.
- ჟოზეფი - *(აგლაეს ადგილს უცვლის)* აურზაურის გარეშე ვკვდები, ხმაურის გარეშე შვებას ვერა ვგრძნობ, შენ კი...
- აგლაე - რა თქმა უნდა, ძვირფასო, ვაფრენ სიჩუმეზე *(გრამოფონისკენ მიდის და ხმაურის ფონს რთავს)*.
- ჟოზეფი - და სიმარტოვეზე.
- აგლაე - სიმარტოვე? ერთ წუთსაც ვერ ვძლებ ამის გარეშე *(მაკეტებში მიდი-მოღის)*.
- ჟოზეფი - *(მისკენ მიემართება)* ეს ქალი აფრენს და გონებას კარგავს. გესმით, ქალიშვილო? *(აგლაე და ჟოზეფი პირისპირ დგანან. მერე ადგილებს იცვლიან და სარკობანას თამაშობენ)* ეი, მანდ, მეორე მხარეს.
- აგლაე - ეი, მანდ, მეორე მხარეს.
- ჟოზეფი - დაიკავე ჩემი ადგილი.
- აგლაე - დაიკავე ჩემი ადგილი.
- ჟოზეფი - წამართვი ჩემი თავი.
- აგლაე - წამართვი ჩემი თავი.
- ჟოზეფი - შენიღბული მკვლეელი.
- აგლაე - შენიღბული მკვლეელი *(პაუზა)*. კანში მიძვრება.

- ჟოზეფი - კანში მიძვრება (პაუზა). თვალის კაკალზე წამავლო ხელი.
- აგლაე - თვალის კაკალზე წამავლო ხელი.
- ჟოზეფი - თავს არ მოვაკვლევიანებ.
- აგლაე - სარკე გახვრეტილია, ჯობს შეგჭამო, შვილო ჩემო (ჩერდებიან. პაუზა).
- აგლაე და ჟოზეფი - (ძველ ადგილებს უბრუნდებიან. გრამოფონში მწეობრში მოსიარულეთა შეძახილი ისმის: "მარტოობა, სიხუმე") ნაბიჯით იარ! მარტოობა და სიხუმე. მარტოობა...
- ჟოზეფი - და სიხუმე.
- აგლაე - კოლექტიური მარტოობა!
- ჟოზეფი - სიხუმე ყველასთვის. მუსიკა, წინისაკენ! (ისმის მუსიკა). მაგარია! სიხუმის მოძღვარნი.
- აგლაე - მარტოობა! თაყვანისმცემელთა მსვლელობა. დიდი წარმატება ექნება.
- ჟოზეფი - გესმის? (აგლაე გრამოფონს გამორთავს).
- აგლაე - (მეგაფონში) უპრეცედენტო წარმატება. სიხუმის მოძღვარნი, მარტოობის თაყვანისმცემელნი, წრედშეკრულ მეზობელთა ასოციაცია დღეს, ნაშუადღევს, დიდებული ადღუმის ჩასატარებლად შეკრებილან. 300-ათასიანი ნუდისტთა ბრბო საზეიმო მარშით აქეთ მოემართება, ეხლა, ამ წუთებში. დაკარგული ბავშვების დასარიგებლად პოლიციის პრეფექტურამ საგანგებო ლოტო გაითამაშა. ამ დროისთვის ოთხ მოკლულს, ათ უზო-უკვლოდ დაკარგულსა და 314 სასწრაფო გამოძახებას ვითვლით.
- ჟოზეფი - (მეგაფონს ჩამოართმევს) გვეყო ყოყმანი. გავიქცეთ ახალ გვინეაში ან ქეიფ-ჰორნიში.
- აგლაე - აფრა აუშვით! მიმართულება - გზატკეცილი.
- ჟოზეფი - წინისკენ! ამჯერად სიმარტოვე ვერსად გაგვექცევა. ხელი უკვე ჩავჭიდეთ მას და ვიძირებით სიმარტოვეში. ნახავ, ჩემო პატარავ, როგორ პიკნიკს მოგიწყობ.
- აგლაე - (მოეხვევა) პიკნიკი. დადებითია. მიღებულია. ხუთი ხუთზე.
- ჟოზეფი - პატარა წახემსება. შორს წასვლაც არაა საჭირო.

- აგლაე - ფონტენბლო.
- ჟოზეფი - რატომაც არა, ჩემო სიციცხლე?
- აგლაე - რა ბედნიერებაა. რამდენი მიოცნებია უღრან ტყეებზე...
- ჟოზეფი - გზატკეცილის ზედაპირზე... თავი ზღვაზე გვეგონება.
- აგლაე - *(წრიალებს)* ბუნების ძლიერი გუგუნი. ქარში გაცრილი ატომები.
- ჟოზეფი - *(მსუბუქად წრიალებს)* პატარა ყურეში ჩაკარგულა ზღვის მიღმა მხარე, რომელიც აურზაურით ამოვარდნილმა რისხვის მწვანე, ჭუჭყიანმა ქარმა შეცვალა *(პირვანდელ პოზიციას უბრუნდება)*. გზა ორმოცდაათ კილომეტრზეა ჩახერგილი. ვერ გაგვაფროთხილეს?!
- აგლაე - მთავარია კარგი რეაქცია.
- ჟოზეფი - თავის დაღწევის უნარი *(თითქოს მანქანას მართავენ: აჩქარებენ, ამუხრუჭებენ და ა.შ.)*.
- აგლაე - შუა ზოლში იარე.
- ჟოზეფი - მარჯვენა რიგში.
- აგლაე - მარცხენა რიგში. ვჭრი, წავედით...
- ჟოზეფი - დაამუხრუჭე, ღმერთო, ვასწრებთ.
- აგლაე - გაგასწარი, გამოგასწარი, შევძვერი, გავძვერი, გამოვძვერი. *(ამასობაში ორივემ დეკორაციამდე მიადწია)*.
- ჟოზეფი - კრეტინო!
- აგლაე - მკვლელო!
- ჟოზეფი - ვირო!
- აგლაე - *(ხელს ასწევს, თითქოს ესალმებაო)* წადი, გაიარე, დებილო! *(ჟოზეფი და აგლაე წინ გადმოინაცვლებენ. ბუნებრივი ტონით)*
- ჟოზეფი - მშვენივრად გავართვით თავი.
- აგლაე - ვიღაც-ვიღაცეები მინიმუმ ხუთი საათით გაიჭედნენ.
- ჟოზეფი - ვიცი.

- აგლაე - რა მაგარ ხარ! მაინც, როგორ მოახერხე?
- ჟოზეფი - წინჭვრეტი. აი, რას გვაძლევს ვარჯიში, გესმის? კარგი მხედველობა პლუს გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი. მაგნიტური ველი მოიშალა? მიმართულებას იცვლი. გზატკეცილი გადატვირთულია? ჰოპ, და სწრაფად, უასფალტო მარშრუტებისკენ (*მოთამაშეები მიმართულებას შეიცვლიან*). დაიჭი! რუკას მისდიე!
- აგლაე - ეს მეთოთხმეტე უბნის გეგმაა.
- ჟოზეფი - ჟოზეფი გიჟი კი არ არის. ქვემოთ დაიხედე.
- აგლაე - ორლეანის კარიბჭეა.
- ჟოზეფი - პატარა წარწერა?
- აგლაე - ორლეანის კარიბჭე. ეს რა არის?
- ჟოზეფი - ნავიგაციაა, ჩემო კარგო, რუკას მიჰყევი.
- აგლაე - ეს რუკა კი არა... აი, გეგმას რომ უწოდებენ, ისაა.
- ჟოზეფი - ბრძანებების გაცემა თუ მოგინდა, ჩემო აგლაე, მიდი! მაგრამ იცოდე, ყველაფერზე პასუხს შენ აგებ!
- აგლაე - მაპატიე.
- ჟოზეფი - უაზრო წინააღმდეგობა ნერვებს მიშლის. რაც არ შემოგთავაზე, არ მოგწონს.
- აგლაე - რას ამბობ, ძვირფასო? ძალიან ვჩქარობ. მინდა დანიშნულების ადგილას დროზე მივიდეთ.
- ჟოზეფი - რაღაც არ გეტყობა (*პაუზა*). თითი გააყოლე რუკას, არ იჩქარო! ვირაჟი მარჯვნივ, ქუჩა მარცხნივ.
- აგლაე - ”მწვანე წისქვილის” ქუჩა.
- ჟოზეფი - სწორია. მარჯვნივ ჩიხია, კიდევ ერთი.
- აგლაე - ყურადღებით, ჟოზეფ! ცალმხვრივი მოძრაობაა.
- ჟოზეფი - აღარ დამაცლი? ასეთი ხეტიალის დროს, არა უშავს! თანახმა ვარ, ილაპარაკე. მაგრამ თუ ასე გაგრძელდება, ჩაო!! მარტო მოგიწევს გზის გაგრძელება. შეხე! ცალმხვრივი მოძრაობა ყოფილა.
- აგლაე - ორივე მხრიდან? არ ვიცოდი.

- ქოზეფი - ვერ შეამჩნიე ალბათ. აბა, მარჯვნივ.
- აგლაე - მერე...
- ქოზეფი - სტოპ! მორჩა, ქალბატონო, მოვედით! კმაყოფილი ხარ?
- აგლაე - შესანიშნავია. შუაგულ პარიზში. მსგავსი ოაზისის მიგნება! აბა, ვნახოთ... ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი... არა, ექვსი.
- ქოზეფი - ითვალე, ითვალე, ექვს სართულს არ აღემატება. ზღაპრული ადგილია. მშვენიერი, მაგრამ აქ ამისთვის ხომ არ მოგიყვანდი? შუა ქუჩაში ხომ არ წავიხემსებთ? მოდი! *(ხელს მოკიდებს და მიჰყავს)*. იქ, სიღრმეში, შეხე!
- აგლაე - ო, ო, რა მშვენიერია!
- ქოზეფი - დაიხარე, ფრთხილად, იჩხვლიტება.
- აგლაე - ეს ბალახია!!
- ქოზეფი - პირადად თქვენთვისაა, ჩემო პრინცესა!
- აგლაე - ფერდობი ცოტა ფრიალოა.
- ქოზეფი - ქვემოთ მოვეწყოთ.
- აგლაე - კი, მაგრამ...
- ქოზეფი - მობრძანდი, წინ! იარ! იქნებ, მაგრამ, განხილვა, გარჩევა, სოფიზმები - ყველაფერი დაივიწყე. მომბეზრდა, ბოლოს და ბოლოს. დავიღლები, დავეცემი, ხელს გაგიშვებ, და ცხვირსაც მოიტეხავ.
- აგლაე - ქვემოთ ვერ წავიხემსებთ.
- ქოზეფი - რატომ, მითხარი, რატომ?
- აგლაე - რელსებია.
- ქოზეფი - რელსები. მერე რა? დენი იქ არ გადის და, იქნებ, იკადრო და სხვა ბალასტიც შეამჩნიო: მდელო, მაგალითად, ყვავილნარი.
- აგლაე - მატარებლებიც?
- ქოზეფი - მატარებლებს მე მოვუვლი. მოდი *(წინ მიდიან)*.

- აგლაე - უფ, კაბა გამეხა.
- ჟოზეფი - დიდ კანიონს ვზუქნი, ქალბატონი კი ჩვრებზე ჭორაობს. რა უგუნურობაა.
- აგლაე - დიდი კანიონი?
- ჟოზეფი - რა, არ გაგიგია? შეხე, ასწი თავი. არა, იქით არა. მადლა აიხედე, ის გაშლილი მხარე, აღმოსავლეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთით, კოლორადოა. სრული, აშკარა ასლი კოლორადოსი. იგივე მიმართულება, იგივე.
- აგლაე - უფრო ტარნის მთების ვიწრო შესავლელს მაგონებს.
- ჟოზეფი - რა თქმა უნდა, თუ ვიტყვი თეთრია...
- აგლაე - ნუ მიბრაზდები.
- ჟოზეფი - შევცდი თან რომ წამოგიყვანე.
- აგლაე - ჟოზეფ!
- ჟოზეფი - რა?
- აგლაე - იცი, ზურგს უკან... მატარებელი.
- ჟოზეფი - რომელი მატარებელი?
- აგლაე - გუგუნის, ბორბლების ხმაური. ჯერ არ გავგიჟებულვარ.
- ჟოზეფი - *(ყურზე დინამიკებს იფარებს)* არაფერი გამიგია. არა, არაფერი.
- აგლაე - *(გდება, ფრჩხილებს ითვალისწინებს)* სულ ერთი და იგივე, ერთი და იგივე. შევტოპავთ, სიხარულით ვსკდებით, წარმოვიდგენთ, რომ უკვე იქა ვართ...
- ჟოზეფი - *(ადვილზე სიბილით)* კონცენტრირებაა საჭირო, კონცენტრირება.
- აგლაე - *(მოძრაობას იმეორებს)* იმ სადამოს, ჟოზეფ, დაგავიწყდა?
- ჟოზეფი - *(კვლავ დარბის)* კონცენტრაცია, ყურადღების კონცენტრაცია.
- აგლაე - ყურები მიბზუის, რეცენტრაცია, მისი დაპირებები.
- ჟოზეფი - *(აგლაეს ზურგს უკან დარბის)* პატარა ბერძნული კუნძული, სიყვარული, დაფნისი და ქლოე.

- აგლაე - პატარა ბერძნული ქალაქი. დაფნისი და ქლოე.
- ჟოზეფი - *(ყურებზე დინამიკებს ირგებს).* ცენტრაცია-რეცენტრაცია.
- აგლაე - ამ კაცს რომ ბოლომდე გავყოლოდი... *(ჟოზეფს მიუბრუნდება).* ჟოზეფ! გესმის ჩემი?
- ჟოზეფი - *(არ უყურებს)* ცენტრაცია-კონცენტრაცია-ამოსუნთქვა-დეცენტრაცია.
- აგლაე - არ მისმენ?
- ჟოზეფი - *(იგივე გამომეტყველებით)* კომუნიკაცია-რესპირაცია-მედიტაცია.
- აგლაე - *(ყვირის)* ჟოზეფ!
- ჟოზეფი - *(არ უყურებს, წამოიყვირებს)* დალახვროს ეშმაკმა. რა გინდა? ტრანსცენტაციის საშუალება არა მაქვს. თქვენთვის ხომ არაფერი მითქვია, ქალბატონო.
- აგლაე - *(ყვირის)* ეხლა არ გამაგიჟო!
- ჟოზეფი - *(ყვირის, ვარჯიშობს, ანუ ადგილზე სირბილს განაგრძობს)* ცენტრაცია.
- აგლაე - *(ისევ ყვირილით)* ჟოზეფ!
- ჟოზეფი - *(ყვირის)* რეცენტრაცია!
- აგლაე - *(ლამპიონების შუქზე)* ჟოზეფ, ჟოზეფ!
- ჟოზეფი - *(იგივე, ძალიან სწრაფად)* კონცენტრაცია-დეცენტრაცია-რესპირაცია-რეცენტრაცია.
- აგლაე - *(ახლოს მიდის ჟოზეფთან)* ჟოზეფ, ვეღარ მცნობ?
- ჟოზეფი - *(კვლავ ვარჯიშით)* მედიტაცია-სუპირაცია.
- აგლაე - *(ჟოზეფის პირისპირ)* ჟოზეფ, რას აკეთებ?
- ჟოზეფი - *(ვარჯიშით)* ცენტრაცია... რას ამბობ?
- აგლაე - გესმის ჩემი?
- ჟოზეფი - რაო?
- აგლაე - რას ბუტბუტებ?

- ჟოზეფი - ხმამაღლა, ღმერთო ჩემო, ერთმანეთისა არ გვესმის.
- აგლაე - *(ერთ დინამიკს ჩამოიხსნის, ცდილობს)* მოიცადე, ეს რა-ღაც...
- ჟოზეფი - *(უკან გადახტება)* სულელი ხომ არა ხარ?
- აგლაე - მინდა გელაპარაკო.
- ჟოზეფი - ნუთუ არ შეგიძლია მაცალო, ვიდრე დავამთავრებდე?
- აგლაე - ბევრი დაგრჩა?
- ჟოზეფი - ამოსუნთქეთ! კონცენტრირება-დეცენტრირება-რეცენტრირება.
- აგლაე - პასუხიც არ გინდა გამცე.
- ჟოზეფი - ნუ ჩამაცივდი, არაფერი მესმის.
- აგლაე - *(ხელით)* მოიშორე.
- ჟოზეფი - მედიტაცია-რესპირაცია, ყურადღება, კონცენტრაცია!
- აგლაე - არ გცხვენია?
- ჟოზეფი - არ მესმის. რა კარგია. შენც უნდა მოშინჯო: გამყიდველი მეფიცებოდა, კარგიაო. მედიტაცია-ცენტრაცია. ისე, რეკლამის მიხედვით, ასეთ ეფექტს ვერც წარმოვიდგენდი.
- აგლაე - *(ზურგს შეაქცევს, დაიხოქებს, ვარჯიშობს)* ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა. სხვა აღარაფერი მინდა.
- ჟოზეფი - *(ფეხს წაარტყავს)* მესაზე ხომ არა ხარ, იდიოტო. რა უგუნურია ეს ქალი. ბოლოს და ბოლოს, აგლაე, ვიდრე ვმეცადინებდი... ნუთუ არ შეგეძლო... აბა, რა ვიცი... ქსოვა. მუსიკის მოსმენა.
- აგლაე - რას მეცადინებდი?
- ჟოზეფი - *(უოქი-ტოკის მოცილებს, დაღლილი)* ბოდიში?
- აგლაე - შენ რა, დაყრუვდი?
- ჟოზეფი - იცი, ამეებით...
- აგლაე - *(ხაზგასმით)* რას მეცადინებდი?

- ჟოზეფი - სიჩუმეს და მარტოობას. პირველად, ათ წუთს არ უნდა გადააჭარბო, თორემ ავად გახდები.
- აგლაე - კასეტა?
- ჟოზეფი - (გრამოფონთან მიდის, ხმამაღალი მუსიკა. მკურნალი ექიმის ინტონაციით) ეკოლოგიურად სუფთაა, ჩემო პატარავ, ეკოლოგიურად სუფთა. სიუჟეტს თუ გამოიცნობ?
- აგლაე - აბა, რა ვიცი.
- ჟოზეფი - მიდი, გამოიცანი. მოგეხმარები. ეკოლოგიური კასეტაა.
- აგლაე - მერე?
- ჟოზეფი - *(გრამოფონში მატარებელის ხმაური ისმის)* ნიაგარის ხმაურია ჩაწერილი. კონდიციაში შესაყვანად. ძალიან შველის.
- აგლაე - მარტოობა ათ გაკვეთილში?
- ჟოზეფი - სულ მცირე ათში. სტაჟირების პერიოდში - ავტომატური თვითკონტროლი.
- აგლაე - როგორ, სტაჟირებაც შედის? *(გრამოფონში ისმის შედახილები)*
- ჟოზეფი - აუცილებლად. ჯგუფში ექვსი კაცი შედის, მწვრთნელთან ერთად.
- აგლაე - სიჩუმე თუ მარტოობა?
- ჟოზეფი - ორივე ერთად. ჰოდა, ჩემს თავს ვეუბნებოდი, იქნებ ამ ზაფხულს შენთვისაც...
- აგლაე - ჩემთვისო? *(ბრუნავს; პაუზა)*. ცარიელი სადგური, ნოემბრის ჭკვარტლიანი შუქი, ლოდინის გემო, და ცალთვალა სალაროს მიღმა შუშაზე აკრული გამყიდველი. ქამრიანი საწვიმარი ლაბადა მაცვია. არ ცივა, მაგრამ მე მაინც ვკანკალებ და ვიკუნტები, რომ ცოტა მაინც გავთბე.
- ჟოზეფი - *(მაკეტების წინ, აგლაეს საპირისპირო მიმართულებით)* სადგურში მატარებელი შემოდიოდა. ბაქანზე, როგორც ყოველთვის, ხალხი იდგა. ზოგი ვაგონში ასასვლელად ემზადებოდა, ზოგიც - ამ მივიწყებულ სადგურზე ჩამოსასვლელად. მოვბრუნდი და იქვე ლაბადიანი ქალბატონი შევნიშნე.

- აგლაე - ის შემობრუნდება, მაგრამ მე მას ბაქანზე არ გავყოლილვარ.
- ჟოზეფი - იქნებ ამ ქალისთვის მოვსულვარ? ეს როდის იყო? დილას თუ წინადღეს?
- აგლაე - ყავისფერ და მუქ ლურჯ უცხო ზურგებს შორის ერთადერთი ზურგი გამოირჩეოდა.
- ჟოზეფი - იმ ქალს კი არც სახელი გააჩნდა და არც სუნი ასდიოდა. მატარებელში ასასვლელად გავეშურე.
- აგლაე - ჯერ ადრე იყო. მეპატრონეებს მაღაზიებიც კი არ დაეკეტათ. აფთიაქში შევედი. ძალიან შემცვივდა.
- ჟოზეფი - ხანდახან შენს მეხსიერებაში რომ ჩავიძირო... *(პაუზა)*
- აგლაე - იქნებ უვნებლად ამოტივტივდე მოგონებათა ჭუჭყიანი წყლიდან.
- ჟოზეფი - *(ადვილს იცვლის)* გეთანხმები. კოლორადო ჯობია, აბა, რა დაგგვარგვია ტარნის მაღლობზე?
- აგლაე - სახლში დაბრუნება მომინდა.
- ჟოზეფი - მოიცა! ეს ადგილი მეცნო *(მაკეტებისკენ მიემართება)*. აგლაე!
- აგლაე - მიღებულია. ხუთი ხუთზე.
- ჟოზეფი - ფრთხილად, აგლაე.
- აგლაე - რა ხდება?
- ჟოზეფი - გარშემორტყმულნი, გარშემოხვეულნი, ალყაში მოქცეულნი ვართ.
- აგლაე - გამოსავალი ვიპოვოთ, კაპიტანო!
- ჟოზეფი - პერიფერია გადატვირთულია, გარე ბულვარებზე წყალდიდობაა, მენის პროსპექტი გადაჭედილია. რეომიურის ქუჩა - გადავსებული, ალმას მოედანი - ბლოკირებული. წყლის დონე - ბობოქარი, მანქანები მესამე სართულამდე დახვავებული. უკან წყალთადრევაა, მიმოქცევა და უკუქცევა!
- აგლაე - არ დავნებდეთ, წინისაკენ!
- ჟოზეფი - ვიპიკნიკოთ.

- აგლაე - ვიპიკნიკოთ, აბა რა.
- ჟოზეფი - კარებთან დაგელოდები. იჩქარე!
- აგლაე - *(ჟოზეფი მაკეტებისკენ მიემართება. აგლაე დაეწევა, ხელს სტაცებს, მერე გაუშვებს)* გაიარეთ, ნუ გაგჩერდებით!
- ჟოზეფი - ცოლს ველოდები, ბატონო პოლიციელო.
- აგლაე - დაყრუვდით? გაიარეთ. აქ გაჩერება აკრძალულია.
- ჟოზეფი - აქვე ვცხოვრობ. ჩემი ცოლი ახლავე ჩამოვა.
- აგლაე - ვინჩართო, გავიაროთ.
- ჟოზეფი - აგლაე! შვხვდეთ სადმე, კარგი?
- აგლაე - *(ყვირის)* გაივლით თუ არა, ბოლოს და ბოლოს?!
- ჟოზეფი - *(მაკეტებში)* წრეს დავარტყავ და დავბრუნდები *(გა- მაფრთხილებელი სასტვენის ხმა).*
- აგლაე - ვინჩართო, გავიაროთ.
- ჟოზეფი - წავიდეთ, აგლაე.
- აგლაე - დაგეწევი *(მაკეტებში)* გავიაროთ.
- ჟოზეფი - წავიდეთ.
- აგლაე - სად?
- ჟოზეფი - ვინჩართო, გავიაროთ.
- აგლაე - სად შეგხვდე? სწრაფად!
- ჟოზეფი - გავიაროთ.
- აგლაე - სად მოვიდე? მიპასუხე.
- ჟოზეფი - ვინჩართო.
- აგლაე - ჩქარა, ჩქარა, წავიდეთ, ჟოზეფ!
- ჟოზეფი - მხედავ, აგლაე? წავიდეთ.
- აგლაე - შევანელოთ, ავინჩართო, გავიაროთ!

- ქოზეფი - აბა, ჯირითით! რა მყვირალა ვინმეა, ეგ პოლიციელი! ნაგავი... როგორ ვეხვეწე, ვემუდარე...
- აგლაე - დღეს კვირაა, ბატონო პოლიციელო.
- ქოზეფი - აკრძალულია, გავიაროთ. რა მაგრა გავაცურეთ! ეხლა გავუსწრებ, სინქარეს მოვუმატებ, აბა, მარცხნივ... ორმაგი გასწრება.
- აგლაე - ორი-სამი უინტერესო გზაჯვერედინი. უფერული ქუჩები, რომლებსაც არსად მივყავართ.
- ქოზეფი - და მერე, მოულოდნელი- გავიაროთ! თითქოს არ მივდიოდეთ?
- აგლაე - თავისუფალი ვარდნა!
- ქოზეფი - თუ ნებას მომცემთ, ბატონო პოლიციელო, აქეთ წავალთ.
- აგლაე - ფრთხილად, ძვირფასო *(სპორტული მანქანების ხმაური, სრბოლის ხმა, ძრავების ჩართვა-გამორთვა და სხვ.)*
- ქოზეფი - შიში? სწორედ ესაა სიმარტოვე. გობი. უდაბნო. სიკვდილამდე მანქანით სრბოლა და საოპერაციო მაგიდა.
- აგლაე - გასასვლელი დაკეტილია! ერთ კილომეტრ შვიდას ორმოცდაათ მეტრში.
- ქოზეფი - არა, რა მშვენიერია?! თავისუფლად, თავისუფლად, ჩემო სიცოცხლე, სარისკო არაფერია, ეს უდაბნო დაგეარგეთ, მაგრამ სხვას გამოვიყენებთ. მივაწვეთ აქსელერატორს.
- აგლაე - უკანასკნელი ათი წრე ორ წუთსა და ოც წამში *(ქალაქის ჩაკირკიტებს, თითქოს რაღის გეგმას კითხულობდესო)*. გადავრთოთ წუთი, მეორე, ორმოცი, მარცხენა მოსახვევი, მესამე, ოთხოცდაათი, ვითვლი, ორი წუთი, მწვანე შუქი, ას ოცი, ისევ მწვანე, ყვითელი, წუთი.
- ქოზეფი - სინქარე ოპერასთან უნდა გადაგვერთო, მირომენილის ყვითელ შუქთან კი უნდა აგვეჩქარებია. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ქალბატონმა ყველაფერი ყველაზე უკეთ იცის. შედეგი - შუქნიშნების მთელი კორიანტელი.
- აგლაე - რამბიუტოს ქუჩის შუქნიშანთან გაგაფრთხილე. უფრო სწრაფად.
- ქოზეფი - ამას უწოდებ ინფორმაციას? ჩემთვის ეს მხოლოდ ხმაურია. წერტილი.

- აგლაე - არ მისმენ. უფრო სწრაფად.
- ჟოზეფი - მიდი, მიდი, თავი დამანებე.
- აგლაე - ჰოდა, მეგობარო, სხვა შტურმანი მონახე (პაუზა). ჟოზეფ! (ჟოზეფი მიდის). ჟოზეფ! გააჩერე! გააჩერე! ჩამოსვლა მინდა. გაგიჟდი?
- ჟოზეფი - შენი სისულელეების გადაძვირე უკვე სამჯერ გვერდი ავუარე შესასვლელს.
- აგლაე - რომელ შესასვლელს?
- ჟოზეფი - აი, ამას.
- აგლაე - რას აკეთებ?
- ჟოზეფი - ხომ ხედავ, ბილეთს ვიღებ.
- აგლაე - მანქანის დასაყენებელ პარკინგში? უკვე ვბრუნდებით? მანქანასაც ვაყენებთ (პაუზა). იბუტები? (პაუზა). რა გაცი-ნებს? აქ შეგიძლია მანქანა დააყენო. შეხე, რამდენი ად-გილია.
- ჟოზეფი - შეხე, პატარავ, დაითვალე.
- აგლაე - ერთი, ორი, სამი... ასე ჩქარა არ შემიძლია. ბოძს უკან... თხუთმეტი, თექვსმეტი, მარცხნივ სიღრმეში - ორმოცდარ-ი... სამოცდაშვიდი.
- ჟოზეფი - სამოცდათხუთმეტი მანქანა. მინიმუმ! პრინციპული მიმარ-თულება - ერთი სართულით ქვევით.
- აგლაე - ამისხენი, რა ხდება.
- ჟოზეფი - დაითვალე.
- აგლაე - ხუთი, ცხრა, თოთხმეტი.
- ჟოზეფი - ნუ იღლები. კურსი სამხრეთისკენ. ერთი სართული ქვე-ვით.
- აგლაე - დავითვალო?
- ჟოზეფი - რა თქმა უნდა.
- აგლაე - ათი.
- ჟოზეფი - მეტი სმეტია.

- აგლაე - მაშ, მინუს მეოთხე სართული
- ჟოზეფი - ჩავიდეთ მეხუთეზე.
- აგლაე - მინუს ათი. ათი სართულით ჩავედით.
- ჟოზეფი - მერე?
- აგლაე - რაღა გინდა, ჩვენს ზევით უკვე სამი ცარიელი სართულია *(სცენა სრულ სიბნელეში თამაშდება. მსახიობებს მხოლოდ სოფიტები ანათებს)*.
- ჟოზეფი - დაცული ზონა, სიწყნარე, სიმარტოვე.
- აგლაე - დიდებულია. სუნთქვა შემეკრა.
- ჟოზეფი - სივრცე.
- აგლაე - იღუმალება.
- ჟოზეფი - რა სიწყნარეა *(გრამოფონს უახლოვდება. ისმის ვენტილატორის ხმაური)*.
- აგლაე - ზღვის ხმაურია, გესმის?
- ჟოზეფი - მსუბუქი ქარია. ტრანსლაცია მიმდინარეობს ვენტილატორით.
- აგლაე - *(ვარჯიშობს)* მსუბუქად ვსუნთქავ.
- ჟოზეფი - გახსოვს კაპრი? ან ოქროს სანაპირო? იცი, აქ მირჩვენია. ტურისტები არ არიან. არც ერთი.
- აგლაე - თანაც ეს იღუმალი, ჯოჯოხეთური სიღრმე. უძველეს გამოქვაბულში მგონია თავი.
- ჟოზეფი - გასაბერი ლეიბები თუ წამოიდე?
- აგლაე - ჭილობის ფარდაგიც კი წამოვიდე გასაშლელად.
- ჟოზეფი - ხომ არ გვესაუზმა?
- აგლაე - უკვე?
- ჟოზეფი - სწორია, რა გვეჩქარება *(პაუზა)*. ქვეყნის ბოლოს მგონია თავი. უსასრულობა თავისთავად. სხვა არაფერი.

- აგლაე - ბავშვებმა გასაღებით არ ითამაშონ. ერიცოლოსო სპორგჰერსი.
- ჟოზეფი - *(ტრიალებს. დაჯდება)* სიმშვიდე. სწორედ ისეთი, მე რომ მიყვარს. ანკესით თევზაობა. სპინინგს ვერ ვიტან, მდლის ბუნებრივი დასაკეცი ანკესი. უძრაობა.
- აგლაე - *(ჟოზეფის უკან, მოშორებით)* მოჩვენებით ხილვათა თხელი ფირფიტა ოდნავ აკრობს ტბის ზედაპირს *(ჟოზეფს ახლოს ჩაუვლის)*.
- ჟოზეფი - ხომ კარგად ვართ, აგლაე?
- აგლაე - ძალიან.
- ჟოზეფი - გემრიელადაც ვსხედვართ. სუპერფანტასტიკა. ამდენი ადგილი, მაგრა მომწონს! ჯდომა, როგორც კაბინეტში. ოღონდ აქ რას ვფლობთ, აგლაე? თავისუფლებას და სიჩუმეს.
- აგლაე - *(ჟოზეფის უკან)* ჩემი პროფესია მოძრაობას არ საჭიროებს. ძირითადად, ვსხედვართ. საბედნიერედ, ახალგაზრდობაშივე ვისწავლე მჯდომარე ცხოვრება. შემიძლია აუდგომლად გავიმართო და ვიარო; შემიძლია წელიწადის დრონი შევაფასო ისე, რომ ადგილიდან არ დავიძრა; შემიძლია ვიჯდე და ვიძინო, ვიფიქრო, პირამიდები დავათვალიერო. წამოდგომისას, ვშიშობ, თავბრუც დამეხვევა ან... ან გაფფრინდები *(ჟოზეფი წამოდგება, გაიზმორება)*.
- ჟოზეფი - შესანიშნავია.
- აგლაე - ჰო, ჩემო სიყვარულო *(პაუზა)*. იქ, სადაც ჩვენ წავალთ...
- ჟოზეფი - აქ რა, არ მოგწონს?
- აგლაე - ყველაფერი ისე იქნება, როგორც ეხლა?
- ჟოზეფი - რა თქმა უნდა.
- აგლაე - ერთმანეთს დაველაპარაკებით?
- ჟოზეფი - ჰო, ძვირფასო.
- აგლაე - ნამდვილად? აი, ასე კარგად, როგორც ეხლა?
- ჟოზეფი - ჰო, ჩემო სიყვარულო.
- აგლაე - შენ მე შემეხშიანები...

- ქოზეფი - *(მოხევევა)* როგორც ტალღა ნაპირის ჩურჩულს.
- აგლაე - არ დაიღლები?
- ქოზეფი - არ დავიღლები, ძვირფასო, არავითარ შემთხვევაში.
- აგლაე - ყველანაირ ბედნიერებას ვიგემებო?
- ქოზეფი - მზესაც, წვიმასაც... და დღეებიც წამიერების მოუთმენელი მოლოდინით გაივლის.
- აგლაე - და მეც მათთან ერთად *(სარეკლამო ინტონაციით)*. ჩემი სიყვერული დროს მოერევა...
- ქოზეფი - ბედნიერებასთან ხანგრძლივადიანი, პერსონალური ურთიერთობა გველის.
- აგლაე - *(იგივე ინტონაციით)* მიღებულია ხუთი ხუთზე *(წაივარჯიშებს)*.
- ქოზეფი - შესანიშნავი აზრია. ცოტა წავარჯიშება *(ორი-სამი ნახტომი ადგილზე)*.
- აგლაე - ნუ წახვალ, ქოზეფ. ნუ მიმატოვებ!
- ქოზეფი - გონს მოეგე. აქ არაფერი გემუქრება.
- აგლაე - ამდენი ვიარეთ.
- ქოზეფი - რას ამბობ? ილუზია იყო. განსაკუთრებული სიმარტოვისა და ხანგრძლივი სიჩუმის შედეგი. საკუთარ ოცნებებსაც ვედარ ამოიცნობს კაცი.
- აგლაე - *(ზურგს შეაქცევს)* უსასრულო კოშმარი.
- ქოზეფი - *(აგლაეს უკან, მოშორებით)* ასეთი მომენტები მეხსიერებას და მის ხატებს ლაქივით ააპრიალებს.
- აგლაე - *(რამდენიმე ნაბიჯი უკან, ჯოზეფის გვერდით, მაგრამ საპირისპირო მიმართულებით, სიბნელისკენ გადაიხრება)* ილაპარაკე, აგლაე, მიპასუხე.
- ქოზეფი - მივრბოდი უმიზეზოდ. მეჩქარებოდა. დამავიწყდა რატომ.
- აგლაე - გაქცეული ჩრდილის სიბნელე ფეხებქვეშ ჟღერდა.
- ქოზეფი - ნუთუ მაგვიანდებოდა? ალბათ... ისე მეჩქარებოდა. შემდეგ კი ეს უკანასკნელი ადგილი გამოჩნდა.

- აგლაე - შიშად ვიქეცი.
- ქოზეფი - ბოძს დავეყრდენი. ცეცხლმოდებული, სახაგამშრალი რა-
დაცას გავეურბოდი...
- აგლაე - *(ქოზეფის უკან)* გიჟივით. სულ ერთი იყო, სად გარბოდი.
- ქოზეფი - რატომ? *(პაუზა)*. არც ყვირილი, არც ფეხის ხმა. ჩემი ნაკ-
ვალევი ნისლმა შთანთქა.
- აგლაე - *(იგივე ინტონაციით)* დაიკარგა... როგორც იქნა...
- ქოზეფი - დევნა შეწყვიტეს. ცარიელი, თავისუფალი ტროტუარი.
- აგლაე - *(იგივე ტონით)* არ შევხედავ.
- ქოზეფი - თავი ვერ შევიკავე. ერთმანეთში არეული, მიწაზე მიყრი-
ლი ბოძები. ჭუჭყსა და ტლაპოში ამოსვრილი.
- აგლაე - მთავარია არ გავიხედო.
- ქოზეფი - საყრდენს მოვნახავ *(პაუზა)*. უნდა გადავრჩე, სწრაფად.
- აგლაე - *(იგივე ტონით)* ბორნეო, პოპოკატეპეტელი *(პაუზა)*. უდაბნო
(გრამოფონს უახლოვდება. ძლიერი ფონი).
- ქოზეფი - *(აგლაეს მიუბრუნდება)* გაგიჟდი? გამორთე ეს საშინელე-
ბა.
- აგლაე - ხელი გამიშვი. რა გემართება? *(ქოზეფი გრამოფონთან
მიდის, გამორთავს)*. ამოსუნთქვის უფლებაც აღარა გვაქვს.
- ქოზეფი - ნაკრძალია, აგლაე. სიჩუმე.
- აგლაე - ამიტომაც არ ადებ პირს და არ მელაპარაკები?
- ქოზეფი - ვისვენებ. კარგად ვარ.
- აგლაე - მართლაც, კარგად ვართ.
- ქოზეფი - რა კარგად ვართ! *(პაუზა)*
- აგლაე - ვერც წარმოვიდგენდი, იმდენად კარგად ვარ *(პაუზა)*.
- ქოზეფი - მშვენიერია.
- აგლაე - მართლაც, მშვენიერია. სიჩუმე...
- ქოზეფი - არავინ.

- აგლაე - *(ტრიალებს) გვიშველეთ! გასვლა გვინდა აქედან (მაკეტებისკენ მიემართება, უკნიდან მოუვლის). გასვლა გვინდა აქედან!*
- ჟოზეფი - *(მაკეტებისკენ მიემართება, მოშორებით შეხერდება) აგლაე!*
- აგლაე - *(მუცელზე წამოწოლილი, მაკეტებიდან თავს გამოყოფს) რა?*
- ჟოზეფი - *(მოშორებით) ჩემი ხელი, აქ...*
- აგლაე - *(იგივე პოზიციაში) მერე რა? რა მოუვიდა შენს ხელს?*
- ჟოზეფი - *(მოშორებით) ხელი მომჭიდვ.*
- აგლაე - რატომ?
- ჟოზეფი - *(შორიდან) გასასვლელი...*
- აგლაე - *(იგივე ტონით) ძალიან შორსაა.*
- ჟოზეფი - *(შორიდან) შეეცადე.*
- აგლაე - დაიხარე. უფრო მეტად.
- ჟოზეფი - სწრაფად.
- აგლაე - *(იგივე ტონით) სრიალებს და ვერ ვახერხებ (წამოდგება, მაკეტებიდან გამოდის, წავა, დაჯდება). რა აზრი აქვს, თავი დამანებე. მაინც ვერ წამოგყვები.*
- ჟოზეფი - *(აგლაეს უკან) მარტონი, აგლაე.*
- აგლაე - *(დაბალი ხმით) არა.*
- ჟოზეფი - *(აგლაეს უკან) თავის დაძვრენა შეუძლებელია.*
- აგლაე - *(გრამოფონისკენ მიემართება. შორიდან - მანქანების ხმაური) გესმის, ჟოზეფ, თითქოს ივსება აქაურობა. ალბათ, გვიანაა, ხალხი ბრუნდება. სამწუხაროა. ჩვენ ისე მშვენივრად ვგრძნობდით თავს.*
- ჟოზეფი - *(გრამოფონს გამორთავს) არაფერიც არ მესმის (პაუზა).*
- აგლაე - *(თითქოს უოკი-ტოკით ლაპარაკობს) მიღებულია, ხუთი ხუთზე.*

- ქოზეფი - არ გინდა.
- აგლაე - *(ხელს მოჰკიდებს)* გავისეირნოთ?
- ქოზეფი - ჩუჰ! *(მიუთითებს)*. მიდი, დაჯექი.
- აგლაე - *(დაჯდება)* და მერე?
- ქოზეფი - ჩუ!
- აგლაე - რა, ჩუ? ყელში ამომივიდა შენი საიდუმლოებანი.
- ქოზეფი - ნუ ყვირი.
- აგლაე - გეშინია, მეზობლები არ გავადვიდო? ვისარგებლოთ, ჩვენ ხომ მარტონი ვართ *(პაუზა)*. მანქანა ცოტა შორს უნდა გადავაყენო *(პაუზა)*. ნეტავ, სიღრმეში, შუქი როგორ ინთება? *(მაკეტაბისკენ გაემართება)*. შეხე, ინტერფონი.
- ქოზეფი - რად გინდა?
- აგლაე - მცველის გამოსაძახებლად და დაყენებული *(გრამოფონს ხართავს, მუსიკისა და საუბრის ხმა ისმის)*. გესმის?
- ქოზეფი - რა?
- აგლაე - რა და ლაპარაკობს *(პაუზა)*. რაღაც ვერ გავიგე... 12 ფრანკი *(პაუზა)*. 6 ფრანკი *(პაუზა)*. ფულს იხდიან. გასვლისას, ნეტავ, რა ღირს? *(პაუზა)*. 80 ფარნკი. არა, აზრზე მოდი! ამ ტიპს, ალბათ, საკმაო თანხა რჩება. მოუსმინე! ჩხუბობს! რა სულელია. მცველის რა ბრალია, მის ჯიბეში ხომ არ მიდის ფული? არც საფასურია მისი დაწესებული. ემუქრება. უნდა ავიდეთ, ქოზეფ. ასე ხომ არ მივატოვებთ? *(პაუზა)*. უფ! წავიდა. შემახურა პირდაპირ. საწყალი ტიპი, რა ხელობა აქვს! მოცუცქნულ გაღიაში გამოკეტილს თავის დაცვაც არ შეუძლია *(პაუზა)*. არა, გაიგე, რა უთხრა? ისეთი ლამაზი ხარო, რომ აქედან გაშვებაც კი არ მიინდოდაო. რა კარგია, არა? რას იტყვი? შებმა გადაწყვიტა, გესმის? *(პაუზა)*. მორჩა, შეკერა! უყურე იმ ტიპს, რა მოხერხებულია. პაემანი მორიგეობის მერე *(პაუზა)*. შენ მართალი იყავი, ძვირფასო, შესანიშნავი პიკნიკი გამოგვივიდა. მხოლოდ, სიმარტოვე სასაცილოა, თანაც მოსაწყენი *(პაუზა)*. ინტერფონით ხომ არ დამერეკა მისთვის? ვისაუბრებდით, საინტერესო გამოცდილებასაც მივიღებდი. მცველისთვის კი დრო სწრაფად გავიდოდა. ავტოსადგომი! ასეთ ტიპებთან ჩვეულებრივ ორ-სამ სიტყვას ვხმარობთ - ქვითარი-ფული-წავედით. არაფერი ვიცით მათზე, სულ არაფერი. მათი შთაბეჭდილებები, რაზე ფიქრობენ, არაფერი, ნული. ვცადო? *(პაუზა)*. ქოზეფ, ვცადო დარეკვა?

- ქოზეფი - არა.
- აგლაე - ყოველთვის - არა და არა (პაუზა). ბანქოც სახლში დამრჩა.
- ქოზეფი - აქ ბანქოს სათამაშოდ არ მოვსულვართ.
- აგლაე - არც ქალაქობანა გინდა? (ქოზეფი უარის ნიშნად ტავს გააქნევს. პაუზა). იქნებ, ჭადრაკი? კეთილშობილური თამაშია (ქოზეფს იგივე რეაქცია აქვს). მაშ, რა?
- ქოზეფი - არაფერი.
- აგლაე - ამდენი ხნით მივდივართ.
- ქოზეფი - არაფერი.
- აგლაე - რამდენიმე წიგნი მაინც წაგველო...
- ქოზეფი - არა.
- აგლაე - ცოტა მუსიკა. სერიოზული. ვინცენტო სკოტო, ბახი, ჩაიკოვსკი.
- ქოზეფი - არა, ძვირფასო, შენ და მე.
- აგლაე - ასე მშრალად, გარნირის გარეშე? საბედნიეროდ, ექსკურსიებზე ვივლით.
- ქოზეფი - გართობა, გაქცევა? არა, აგლაე, არაფერი არაფერია.
- აგლაე - სინემე, თეთრი საძინებელი, ბროლი. ამით გინდა გამაკვიროვო? მოგვწყინდება, ქოზეფ, დამიჯერე.
- ქოზეფი - დავივიწყე სახელი შენი, იერუსალიმო. და ენა ჩემი გაშრა ბაგეში.
- აგლაე - ჯერ ვერც გავაცნობიერებთ...
- ქოზეფი - როგორც კიბოს...
- აგლაე - მერე ძვალსა და რბილში გაგვიჯდება და ფასადიც აგვექერცლება (აგლაე და ქოზეფი ადგილებს გაცვლიან, ტრიალებენ).
- ქოზეფი - გაიწიე, რამდენ ადგილს იკავებ.
- აგლაე - ჭამა თუ გინდა, ბიფშტექსი მოიმზადე.

- ქოზეფი - ბრძანებებს არ ვემორჩილები.
- აგლაე - შენი მზარეული...
- ქოზეფი - შენი ღაქია ვიყო?
- აგლაე - რას ღრიალებ?
- ქოზეფი - შენ ღრიალებ, იდიოტო *(აგლაე და ქოზეფი ადვილს იცვლიან)*.
- აგლაე - ხმამაღლა. არაფერი მესმის.
- ქოზეფი - ჭრიჭინობელები! ქარი!
- აგლაე - არა, სიჩუმის ხმაურია.
- ქოზეფი - ნუთუ აღარ გეყოფა? რაღას ეძებ?
- აგლაე - შევიცვალე. ჯობს გაგეცალო *(დეკორაციისკენ მიემართება)*.
- ქოზეფი - მშვიდად ვართ. დაიძინე.
- აგლაე - შემოსასვლელს ვეღარ ვნახულობ. *(დეკორაციას მიაშურებს. ვითომ ინტერფონში ვიღაცას ელაპარაკება)*. მცველო, ეი! ბატონო, ბატონო!
- ქოზეფი - რას აკეთებ, აგლაე?
- აგლაე - ვრეკავ, მაგრამ არ პასუხობს.
- ქოზეფი - შეამოწმე, ღილაკს თითი დააჭირე *(პაუზა)*. გამოვიდა რამე?
- აგლაე - მცველო! ეი, ბატონო! გესმით ჩემი?
- ქოზეფი - დამშვიდდი *(პაუზა. უჩურჩულებს)*. დაგავიწყდა? ლაპარაკობს აგლაე, ლაპარაკობს აგლაე.
- აგლაე - რა თქმა უნდა. რა სულელი ვარ? ლაპარაკობს აგლაე. გესმით ჩემი?
- ქოზეფი - მიღებულია. ხუთი ხუთზე *(აგლაე ქოზეფთან მიდის)*.
- აგლაე - გესმის, ძვირფასო?! ჩვენი ტალღა დაიჭირა. მიღებულია. ხუთი ხუთზე *(გრამოფონს უახლოვდება)*. თქვენი ჯერია, მიპასუხეთ.

- ქოზეფი - *(ჩურჩულით)* თქვენი ჯერია. დავამთავრე.
- აგლაე - თქვენი ჯერია, დავამთავრე.
- ქოზეფი - *(ვარჯიშობს)* ტყუილად გასწავლიდი. ვარჯიში, მომზადება.
- აგლაე - *(ვარჯიშობს)* სწორია *(პაუზა)*. თქვენი ჯერია, მცველო. დავამთავრე *(პაუზა)*.
- ქოზეფი - რას ამბობს?
- აგლაე - არაფერს, სინჟემა.
- ქოზეფი - როგორ თუ სინჟემა? უნდა გიპასუხო. საერთაშორისო კონვენციის მიხედვით პასუხი აუცილებელია. დილაკს თითი მიაჭირე. დარეკე! კიდევ.
- აგლაე - ალო, მცველო, ალო, მცველო. ლაპარაკობს აგლაე *(ქოზეფს უახლოვდება)*. პასუხი არ არის.
- ქოზეფი - ხელახლა დაიწყო *(პაუზა)*. უფრო დაჟინებით, სიტყვებს ცუდად გამოთქვამ, აგლაე. დარწმუნებული ვარ, კარგად რომ გამოთქვა, გიპასუხებს. კიდევ ერთხელ სცადე *(აგლაე ტირის)*.
- აგლაე - აი, ასე გამომიტყერ ხოლმე. შენთან ერთად ყველაფერი უკუღმა მიდის. როგორ ფიქრობ, სასიამოვნოა, როცა ვიღაც ზურგს უკან გაუთავებლად ამოწმებს ყოველ მოძრაობას, ყოველ სიტყვას.
- ქოზეფი - ისევე ჩემი ბრალია ყველაფერი.
- აგლაე - კმარა, მომბეზრდა.
- ქოზეფი - თავი შეიკავე, აგლაე.
- აგლაე - მეშინია, ქოზეფ.
- ქოზეფი - კიდევ სცადე.
- აგლაე - არ ესმის.
- ქოზეფი - გამოთქმა ძალიან მნიშვნელოვანია, აგლაე. ლა-პა-რა-კობს აგ-ლა-ე. გეს-მით ჩე-მი? აბა, გაიმეორე.
- აგლაე - ვერ ვბედავ.

- ქოზეფი - გამაგრდი. პირველსავე დაბრკოლებას ნუ შეუშინდები.
- აგლაე - დარწმუნებული ვარ, რომ ვერ შეგძლებ.
- ქოზეფი - არ მოგეშვები.
- აგლაე - ხელები გამეყინა, ქოზეფ, ხმა მიკანკალებს.
- ქოზეფი - ერთხელ, მხოლოდ ერთხელ და უკანასკნელად.
- აგლაე - *(ჩურჩულებს)* ლაპარაკობს აგლაე, მცველო, ე-ე-ე, მცველო.
- ქოზეფი - არა უშავს, ძვირფასო, დაისვენე.
- აგლაე - შენ რატომ არ ურეკავ?
- ქოზეფი - მე-ე?
- აგლაე - მთავარია გვიპასუხოს.
- ქოზეფი - ალბათ.
- აგლაე - *(აღელვებული)* არ გამოვა, ვიცი, არ გამოვა. გვიშველეთ!
- ქოზეფი - ჩუმად, სულელო! ნუ ითარსები.
- აგლაე - მიდი, თქვი! ლაპარაკობს ქოზეფი, ლაპარაკობს ქოზეფი, გვიპასუხეთ *(პაუზა)*. არა? რას ყოყმანობ?
- ქოზეფი - არსად გვეჩქარება. ჯერ ადრეა.
- აგლაე - შენც გეშინია. გამოტყდი, რომ გეშინია.
- ქოზეფი - თუ შენ ძალიან გინდა...
- აგლაე - დარეკე, ქოზეფ. გემუდარები, სწრაფად. აჰა, განგაშის ზარი. ვრეკავ.
- ქოზეფი - ლაპარაკობს ქოზეფი, ლაპარაკობს ქოზეფი, მცველო, გესმით? *(პაუზა)*. იმავე წუთს ხომ არ გვიპასუხებს. არავის გაუფრთხილებია. სრული უფლება აქვს იყოყმანოს, შეამოწმოს, საიდან მოდის ხმა.
- აგლაე - კიდევ ერთხელ.
- ქოზეფი - ცოტა ადრეა. ჰო, კარგი! ლაპარაკობს ქოზეფი, ლაპარაკობს ქოზეფი, მცველო, მცველო!
- აგლაე - ხედავ, პასუხი არ არის.

- ქოზეფი - ძალად აკეთებს. ჩვენი გამოცდა უნდა.
- აგლაე - რეებს რომაე? შენ რა, სულ შტერი გგონივარ?
- ქოზეფი - მცველო, გვიპასუხე, გვიპასუხე, მცველო! კანონით უნდა გვიპასუხოს.
- აგლაე - კანონის ძალით...
- ქოზეფი - მცველო!
- აგლაე - ვერ გავიგებთ, იქ რას ლაპარაკობენ?
- ქოზეფი - როგორ უნდა გავიგოთ?
- აგლაე - *(გრამოფონთან მიდის, რთავს, სიჩუმე)* აღარაფერს იჭერს.
- ქოზეფი - ჩუმი! როგორ არა?
- აგლაე - არაფერს.
- ქოზეფი - კარგად უსმინე. ჩურჩული.
- აგლაე - გატეხილია, ქოზეფ. აღარ ისმის.
- ქოზეფი - რა სიჩუმეა!
- აგლაე - მცველო, გვიშველე!
- ქოზეფი და აგლაე - მცველო, მცველო!
- აგლაე - ასე ხომ არ დავრჩებით, სულ მარტონი *(პაუზა)*.
- ქოზეფი - *(აგლაეს ხელს ჰკიდებს)* მოდი, ნუ გეშინია *(რამდენიმე ნაბიჯს გადადგავენ დეკორაციისკენ ნახევრად ბნელ სცენაზე)*.
- აგლაე - აღარაფერი ისმის. მხოლოდ ჩვენ დავრჩით. მარტონი. ეს დასასრულია *(პაუზა)*. მოიცა, *(მიბრუნდება გრამოფონისკენ და დეკორაციისკენ)*.
- ქოზეფი - *(ცდილობს შეაჩეროს)* აგლაე! დარჩი! აგლაე *(აგლაე გრამოფონს რთავს. ძლიერი შუქი. გრამოფონში ისმის ხმაურის მთელი ორკესტრი: საყვირი, საუბარი, მილები ჭრიალი, უკანასკნელი ცნობები, ნაირგვარი მუსიკა. ქოზეფი და აგლაე ერთმანეთს ჩაეხვევიან)*. ხმაური! მარტონი აღარ ვართ! გადავრჩით, ძვირფასო!

აგლაე -

გადავრჩით, ჩემო სიყვარულო!

ფარდა.